სპორტი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 5 აპრილი 2001 №60 (1333) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიყიდა!



გორდა 3:2 სიონი

სფფ-ს საგანგებო კომიტეტმა არ დაამტკიცა XII ეროვნული ჩემპიონატის 3 აპრილის მატჩის შედეგი — გორდა (რუსთავი) — სიონი (ბოლნისი) 3:2. სფფ-ს დელეგატის აზრით, თამაშის მსვლელობა წინასწარ დადგმულ შეთანხმებას წააგავდა. ამ აზრს იზიარებენ წამყვანი სპორტული გაზეთების ის ჟურნალისტები, რომლებიც მატჩს დაესწრნენ. იგივე შეხედულება აქვთ ფეხბურთის სპეციალისტებსა და ვეტერანებს, რომელთაც მატჩის დამთავრებამდე დემონსტრაციულად დატოვეს „ფოლადის" სტადიონი.

სფფ-ს საგანგებო კომიტეტი პარასკევს, 6 აპრილს, 13 საათზე ჩაატარებს სხდომას, რომელზეც მოიწვევს ორივე გუნდის წარმომადგენლებს, ამ მატჩის დელეგატს და მსაჯთა ბრიგადას. საგანგებო კომიტეტის დასკვნა საბოლოო იქნება.

სფფ-ს საგანგებო კომიტეტი

REUTERS ლიდსიდან

ლიდსი — დეპორტივო. იან ჰარტის მართლა ყუმბარისებური ჯარიმა. მერე კიდევ ორი იყო...

ჰკლავთ?!

როგორც ამბობენ, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში შეთანხმებული თამაში ჩატარდა. ამ ამბავმა ეგებ კიდევ ერთხელ გააცინა გულშემატკივრები, მაგრამ არ გაუკვირვებია.

თავისთავად, შეთანხმებული თამაში ორი გუნდის სინდის-ნამუსის ამბავია. ევროპაში გუნდები სულ არ შეთანხმდებიან ხოლმე, მაგრამ მაინც შეთანხმებულივით გამოსდით, რადგან ზოგჯერ ისეთი მატჩებიც გამოერევა მისი შედეგი რაიმე დიდ მნიშვნელობას მოკლებულია.

შეთანხმებული თამაშის შემდეგ სიავით მოდის ჩაწყობილი თამაში, რომლის არსებობაც ასევე არ გაკვირვებს ფეხბურთის გულშემატკივარს. ჩაწყობილი თამაში ფულის ამბავია.

აღიარებულია, რომ ჩაწყობილი თამაში ფეხბურთის მკვლელია, რადგან სინაღდეს აცლის თამაშს. სინაღდეგამოცლილი თამაში კი თამაში აღარ არის. ამის ცოდნაში ქართველ გულშემატკივარს ბევრი ვერავინ შეეჯიბრება, რადგან თუკი რამ არ არის ჩვენს ფეხბურთში, სწორედ რომ სინაღდე.

ორი პატარა კლუბის შეთანხმებაზე ატეხილი ლაპარაკი ძნელად შეცვლის რაიმეს სინაღდის თვალსაზრისით, ვინაიდან სპორტული სული ორი პატარა კლუბის დასჯით არ აღდგება.

ჩვენს მინდვრებზე ნაღდ ფეხბურთს საღათას ძილით სძინავს და რაზან სძინავს, შეთანხმებაჩაწყობაც ამ ვითომ თამაშის აუცილებელი პირობაა. შედეგის გაუქმება სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან სადაც ფეხბურთი არ არის, იქ შედეგსაც არაფერი ესაქმება.

ფეხბურთი საქართველოს ფიტნესი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ლიდსიპორტივნეთ!

ლიდსი	3	არსენალი	2
დეპორტივო	0	ვალენსია	1

იხილეთ მეორე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი 12 უმაღლესი ლიგა მეორე ეტაპი

1 ტური

I-VI ადგილები

ყიფიანი ეროვნულიდან გააძევეს მიბრძანდით!

უთხრა მსაჯმა ფილაკაძემ დავით ყიფიანს

პირველი ტურის მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მესამე-მეოთხე გვერდებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ფუხელ ჩემპიონთა ლიგა მეოთხედფინალი პირველი მატჩები

ლიდს იუნაიტედი 3:0 დეპორტივო
ლიდსი, «ელანდ როუდი»
35 508 მაყურებელი

1:0 ჰარტი (26), 2:0 სმიტი (51), 3:0 ფერდინანდი (66)

მარტინი, მილსი, ფერდინანდი, ჰარტი, მატეო, დაკური, ბოიერი, ბეტი, კიუელი (უილკოქსი 84), ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დეივიდ ოლირი

მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, სქარი, ფრანი (ბანდინი 71), სკალონი (დიეგო ტრისტანი 71), ემერსონი, დუმერი (ვალერონი 54), მაკი, ჯალმინი
მწვრთნელი: საციერ ირურეტა

გაფრთხილება: ემერსონი, მატეო, ბეტი, დაკური; მსაჯი: ფილ ვესეი (საფრანგეთი)

არსენალი 2:1 ვალენსია
ლონდონი, «ჰაიბერი»
35 104 მაყურებელი

0:1 აიალა (41), 1:1 ანრი (58), 2:1 პარლოუ (60)

სიმონი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, უშლი კოული, ლიუნგბერგი (ვილტორდი 46), ვიეირა, პარლოუ, პირესი, ანრი, კანუ (ლორენი 84)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

კანისარესი, ანგლომა, აიალა, ბელეგრინი, კარბონი, ბარახა, მენდიეტა (ვესენტე 87), კილი გონსალესი, აიმარი (ანგულო 68), კარეუ, ხუან სანჩესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუბერი

გაფრთხილება: ბარახა, აიალა, პირესი, კილი გონსალესი; მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ვალენსია. ტიერი ანრი (მარჯვნივ) — ჟოსელინ ანგლომა. არც ერთია ინგლისელი და არც მეორე ესპანელი, ორივეს საფრანგეთის პასპორტი აქვს

ინგლისი

გადადებული მატჩი
ასტონ ვილა 2:1 ლესტერი
0:1 დავიდსონი (27), 1:1 დაბლინი (29), 2:1 ლ. ჰენდრი (72)

I დივიზიონი

გადადებული მატჩები
გლეიზერნი 1:1 შეფილდ იუნაიტედი
1:0 ბერგი (5), 1:1 ნდლოვუ (73)
ვულვერჰემპტონი 0:1 უიმბლდონი
0:1 ერდელი (53)
ვულვერჰემპტონი: ოუენი, კონელი, პოლეტი, ლესკოტი, ნეილორი, რობინსონი, ენდრიუსი, სინტონი, ბრენნი (ჰეცგაია 82), პრუდლოკი (რუსელი 68), ნდა
მწვრთნელი: დეივიდ ჯეკინსი
16 767 მაყურებელი

III დივიზიონი

გადადებული მატჩი
ქარდიფი 1:0 ბარნეტი

პოლონეთი

ლიგის თასის 1/2 ფინალი
II მატჩი
ავიცა 1:0 ვისლა (0:2)
ფინალში ერთმანეთს კრაკოვის „ვისლა“ და ლუბინის „ზაგლებე“ შეხვდებიან. / მატჩი — 30 ივნისს, სამასუხო კი 6 ივნისს გაიმართება

შოტლანდია

გადადებული მატჩები
აბერდინი 4:1 დანდი იუნაიტედი
1:0 სტავრუმი (6), 1:1 გრიფინი (12), 2:1 სტავრუმი (29), 3:1 იანგი (42), 4:1 სტავრუმი (84)
სელტიკი 2:1 დანდი
1:0 ჯონსონი (5), 1:1 სარა (57), 2:1 მიალბი (84)
დანდი: ლენფილდი, სმიტი, კოინი, ტვიდი, რაე, არტერო, ნეგსაძე, მაროკო, გარიდო (კარანსა 60), სარა (ხიზანიშვილი 86), კინეკა (კაბალერო 46)
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
59 662 მაყურებელი

საბერძნეთი

თასის 1/2 ფინალი
I მატჩები
პაოკ 5:2 აპოლონი (II)
ირაკლისი 0:1 ოლიმპიაკოსი

ავსტრია

თასის 1/16 ფინალი
რიდი 0:3 ტიროლი

ჩეხეთი

XVIII ტური
ბლანი 2:2 სიგოტი
ბუდეიოვიცე 0:0 ლიბერეცი
იაბლონეცი 2:1 ბანიკი
ბრნო 2:0 ტეპლიცე

გორდა — სიონი გაიყიდა! ეჭვი ულევია...

გუშინწინდელი „გორდა“ — „სიონი“. მოულოდნელი ნოკდაუნი, რომელიც შეიძლება ნოკაუტადაც იქცეს

ბაბილ ლიბერაძის ფოტო

„გორდა“ — „სიონი“, ერთი შეხედვით, ისე დაიწყო და გაგრძელდა, როგორც უამრავჯერ ყოფილა. მასპინძლები გატანას ცდილობდნენ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. „სიონიც“ ისე რა უტევდა. გასაკვირიც რა იყო — ზედა ექვსეულს ჩამორჩენილი გუნდების მატჩი იყო.

ამ თამაშს „თამაშის“ სუნი რომ უდიოდა, პირველად მაშინ დავეჭვდი, როცა 36-ე წუთზე „სიონმა“ პირველი გოლი გაიტანა. ერთ-ერთმა ბოლნისელმა მარცხენა ფლანგიდან რუსთაველთა საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, მასპინძელთა მეკარემ „ჩემიაო“ დაიყვირა. მცველებმა, რა თქმა უნდა, ბურთი გაატარეს და... მეკარე ბურთს ვეღარ წაეპოტინა, იქვე მყოფმა ბოლნისელმა კი გაიტანა. ცოტა უცნაური იყო მეკარის ასეთი შეცდომა. შესვენების შემდეგ მოედანზე პირველები რუსთაველები გამოჩნდნენ. ერთ-ორ წუთში მსაჯებიც. ბოლნისელებმა კი რატომღაც უფრო მეტ ხანს მოინდომეს დასვენება და „გორდას“ გასახდელიდან გამოსვლიდან 8-10 წუთშიღა განახლდა მატჩი.

„სიონის“ შემადგენლობაში ორი შეცვლა იყო. ცენტრალური მცველი ცენტრალურ მცველს შეეცვალა, ნახევარმცველი თავდამსხმელს. ესეც გასაკვირი იყო. 49-ე წუთზე კი „სიონმა“ ერთი შეცვლაც გააკეთა. ბახვა მოსეშვილმა მოედანი კოჭლობით დატოვა, თუმც მეორე ტაიმში ისეთი ეპიზოდი არ ყოფილა, დაშავებულიყო. მის ნაცვლად მოედანზე იშვიათად მოთამაშე ჯაფარიძე გამოჩნდა. დადგა 51-ე წუთი. ბოლნისელებმა მეორე გოლი გაიტანეს, მაგრამ სიხარულისა არაფერი ეტყობოდათ. კიდევ უფრო დავეჭვდი.

მერე და მერე კი... „გორდას“ სამი ქულისთვის ხომ სამი გოლი სჭირდებოდა? მასპინძლები „მეტოქის“ საჯარიმომდე ისე მიდიოდნენ, ხელის შემშლელი კი არა, იქამდე მიმცილებელიც, პარტნიორთა გარდა, არავინ ჰყავდათ. სხვაობა მალევე შემცირდა, თავდამსხმელს მცველმა გზა დაუთმო და მანაც ახლოდან გაიტანა. მეორე გოლის გატანას „გორდამ“ სამი წუთი მოანდომა. იქამდე თავად ვერ მოახერხეს, თორემ ხელს ვინ უშლიდა. ერთხელ ბურთი ძელს მოარტყეს რუსთაველებმა, ორჯერაც ისეთი მანძილიდან ააცილეს კარს, ძალიან გინდოდეს, ამას ვერ გააკეთებ. ანგარიში კი ისე გათანაბრდა მეკარე იდგა კარში თუ არა, ამაზეც უნდა დაფიქრებულიყავი. დაახლოებით 20-25 მეტრიდან დარტყმული ბურთის მოგერიება კი შეიძლებოდა, მაგრამ „სიონის“ პირველმა ნომერმა „რატომღაც“ გაშეშება ამჯობინა. პირველად აღარ ვეჭვობდი, რომ „თამაშს“ ვუყურებდი.

მესამე გოლს კი ცოტა შეაგვიანდა, თუმც ისეთი გავიდა, კაცს ფეხბურთზე წარმოდგენას დაგაკარგვინებდა. 3:2 — „გორდას“ სამი ქულა ჯიბეში ჰქონდა. „სიონი“ კი ასეთი ანგარიშის მიუხედავად ცენტრის ხაზს აღარ ჰკვეთდა.

ერთი სიტყვით, კალმით ყოველივეს აღწერა შეუძლებელია, ისევე როგორც იმისი მტკიცება, ეს მატჩი ჩაწყობილი იყოო.

და თუ „გორდა“ — „სიონი“ წინასწარ გარიგებული არ იყო, მაშ ფეხბურთის ფედერაციას ვურჩევთ — ვიდრე გუნდებს ჩემპიონატში მონაწილეობის ნებას დართავთ, ფეხბურთელებს რაიმე ტესტი ჩაუტარეთ, დავუშვათ, თუ იციან ხუთჯერ ბურთის აკენწვლა, ორ მეტრში პასი, ხელით გაგორებული ბურთის გაჩერება...

ძოგა ინასარიძე

...ნაცარი ქართული

ექსპრეს-კომენტარი

ლევან ყიფიანი, „გორდა“ — „სიონის“ მატჩის დელეგატი:

— პირველ ტაიმში საეჭვო არაფერი იყო. ეჭვი მეორე ტაიმის პირველივე წუთებიდან გაჩნდა. ყველაფერი რიგზე რომ არ იყო, მაყურებელმა და ჟურნალისტებმაც შენიშნეს.

— მაინც, რამ დაგაეჭვათ?

— მეორე ნახევარში „სიონის“ ფეხბურთელების დემონსტრაციულმა გაჩერებამ, თუმცა ჯერ არ ვიცი, როგორ დავამტკიცებ, თამაში ჩაწყობილი რომ იყო. მატჩის დამთავრებისთანავე ვიდეოფირი მოვითხოვე, მაგრამ მითხრეს, ოპერატორი არ გვყავს და თამაში არავის გადაუღიაო. მე მაინც მჯერა, რომ სიმართლეს დავაღგენ და ამაში თქვენი, ჟურნალისტების თანადგომის იმედი მაქვს. ჩემი პოზიცია უკვე დავაფიქსირე — მატჩის დელეგატის პატაკში ყველაფერი ჩავწერე.

— „სიონისა“ და „გორდას“ თავკაცებს ცხელ გულზეევ თუ ელაპარაკეთ?

— ისინი მატჩის მეორე ნახევარში ხალხის დასანახად ხელებს შლიდნენ, სურდათ, მაყურებლებისთვის ეჩვენებინათ, თითქოს მინდორზე უშეღავათო ბრძოლა მიმდინარეობდა. თამაშის შემდეგ ჩემი აღშფოთება არ დამიმალავს, ორივეს პირში მივახალე, რას ჰგავს ეს, ხალხს თვალში ნაცარს რად აყრითმეთქი. ორივემ სიჩუმე არჩია. მართლები რომ ყოფილიყვნენ, აქეთ შემომიტევდნენ.

— მაინც როგორ დაამტკიცებთ, თამაში ჩაწყობილი რომ იყო?

— მე ჩემსას ვეცდები. „ფოლადზე“ მარტო არ ვყოფილვარ, ასე ფიქრობს ჟურნალისტი, მსაჯი და ქომაგიც.

მერაბ მალალურაძე, „გორდა“ — „სიონის“ მატჩის არბიტრი:

— მე ჩვეულებრივად ვიმსაჯე და ვერ გეტყვით, სტუმარ-მასპინძელს გულში რა ედო.

დიდი იმედი იმისა, რომ „გორდა“ — „სიონის“ მატჩის მსაჯები, ჩვენთვის და ქომაგისთვის რამე საინტერესოს გვეტყოდნენ, არც გვქონია.

სამსაჯო კომიტეტის კომენტარიც მოკლე და კონკრეტული იყო:

— მსგავს სიტუაციებში მსაჯს უფლება არა აქვს, აღნიშნულ საკითხებზე კომენტარი გააკეთოს. ასე გვიწერია წესდებაში. თუ საგანგებო კომიტეტი მოისურვებს, ჩვენს ვერსიებს თუ ვარაუდებს მათ წარვუდგენთ.

ზამუკა ძვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

1 ტური

I–VI ადგილები

სიხარულის წვეთი

ყიფიანი ეროვნულიდან გააგდეს

თბილისი
4 აპრილი
15 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 70 900)

დინამო 1:1 ტორპედო

1:0 იაგორაშვილი (42), **1:1** ჯინჭარაძე (43)

დინამო: გრიშიკაშვილი, სვანძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, მანწკავა, ბურდული, ა. სახვაძე (ი. შენგელია 86), მაზიაშვილი, იაგორაშვილი (ქარდავა 83), მიკუჩაძე (აფციაური 71), ზირაქიშვილი

სათადარიგონი: ხაჩირაშვილი, გაბიდაური, ჩივაძე, თუთარაშვილი

ტორპედო: ზოიძე, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, აბრამიძე, თოდუა, დიდავა, გუჩუა (მახვილაძე 35), კ. კვეტენაძე (ჯინჭარაძე 41), ასათიანი (ჩხეტიანი 52), იონანიძე, ჯანაშია

სათადარიგონი: გვარამაძე, მ. ბობოხიძე, იმედაძე, გონჩაროვი

გაფრთხილებები: თოდუა (4), ზოიძე (30), მანწკავა (32), ზირაქიშვილი (69)

მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფშ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

კოზა ინასარიძე

შარშანდელი 0:3 ვეღარ გაიმეორეს ქუთაისელებმა და ამჯერად, მოწინავე ექვსეულის პირველ ტურში, ეროვნულზე ქულასაღა დასჯერდნენ.

ლოგიკური შედეგი გახლდათ. მთლად უქულოდ დარჩენისთვის ორივე გუნდი ცოდო იქნებოდა. ორივე იბრძოდა, ბევრს შრომობდა, ხშირადაც ცდებოდა და საბოლოო ანგარიშიც ამის შესაფერი გამოდგა.

ავდრის მიუხედავად, ფეხბურთელები მონდომებულნი იყვნენ და ჟინიანად თამაშობდნენ. სახიფათო მომენტებიც საკმაოდ შექმნეს ერთმანეთის კართან, მაგრამ მხოლოდ თითოჯერ გაიხარეს.

დასაწყისი „დინამოს“ კარგს არაფერს უქადდა და პირველ 10 წუთში ტორპედოელთა კაპიტან ჯანაშიას ორი რეალური მომენტიდან ერთი მაინც რომ გამოეყენებინა, ღმერთმა უწყის, მერე რა მოხდებოდა.

ჯანაშიას ჯერ მე-6 წუთზე გაუცუდდა დარტყმა. იონანიძემ ჩინებული პასით თანაგუნდელი გრიშიკაშვილთან პირისპირ დატოვა, მაგრამ კაპიტნის ძლიერად დარტყმული ბურთი კარს საკმაოდ ასცდა.

მერე, სამ წუთშიც შეეძლო ჯანაშიას გატანა, ამჯერად მან კვეტენაძის პასი ვერ გამოიყენა და უფრო კარგი მომენტი ქარს გაატანა.

„დინამო“ ოდნავ დაბნეული კი იყო, მაგრამ ნელ-ნელა დალაგდა და, უპირველესად, მოედნის ცენტრში აქტიური თამაშით, „ტორპედოც“ დაჯაბნა. მაზიაშვილმა, მანწკავამ და წინ წაწეულმა იაგორაშვილმა აშკარად აჯობეს ნაავადმყოფარ გუჩუასა და კვეტენაძეს. ამაზე ნაადრევი შეცვლებიც მეტყველებს, სტუმართა მწვრთნელებმა, ძოძუაშვილმა და ყიფიანმა, მათ მახვილაძე და ჯინჭარაძე ამჯობინეს. შედეგად ქემოკლიძემ საყრდენად გააგრძელა თამაში, მახვილაძემ — მარჯვენა მცველად.

პირველი გოლი კი ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გავიდა. ბურდულმა, რომელმაც შესვენებამდე და მეორე ტაიმის 15-20 წუთში სისწრაფეში დაჩაგრა თოდუა, მარჯვენა ფლანგზე გაიგდო ბურთი, მიჰყვა და საჯარიმოში უმეთვალყურეოდ მიტოვებულ ზირაქიშვილს გაუგორა. მან ქუსლით ბურთი იაგორაშვილს დასარტყმელად გაუსწორა, რომელმაც ზოიძეს კარის ცხრიანში დაუმიზნა და ლამაზი გოლი გაიტანა. „დინამომ“ გაიხარა. ვიცე-ჩემპიონს საქმის ნახევარი გაკეთებული ჰქონდა და ეს ანგარიში შესვენებამდე რომ შეენარჩუნებინა, ეგებ მოეგო კიდეც. თუმც კი თბილისელთა სიხარული წუთსღა გაგრძელდა. მარცხენა ფლანგიდან ჯანაშიამ მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, თამაშში ორი წუთით ადრე ჩართულმა ჯინჭარაძემ გრიშიკაშვილს დასწრო და თავურით გაათანაბრა.

მეორე ტაიმიც „დინამოს“ უპირატესობით დაიწყო. 56-ე წუთზე ზირაქიშვილს შეეძლო კიდეც თავისიანების ერთხელაც დაწინაურება, მაგრამ ზოიძესთან პირისპირ დარჩენილი რატომღაც შეყოვნდა და ბურთი მცველებს ჩააბარა. ორიოდ წუთში კი დავით ყიფიანი განერვიულდა, მსაჯობით უკმაყოფილო შილაკაძეს კინაღამ მოედანზე შეეჭრა. ამას არბიტრი მშვიდად შეხვდა, „დინამოს“ სათადარიგო სკამისკენ გაეშურა და ყიფიანს ტრიბუნისკენ მიუთითა.

მატჩი კი „ტორპედოს“ უპირატესობით გაგრძელდა. აშკარა იყო, ჭაბუკი დინამოელები დაიღალნენ. შეცდომებსაც უხშირეს. ჩემპიონიც ერთი-ორჯერ დაემუქრა მასპინძელთა კარს, თუმც ჯერ დიდავამ ააცილა თავური, მერე კი ჯინჭარაძის დარტყმული ცარიელი კარიდან შაშიაშვილმა გამოიტანა. „დინამოს“ შილაკაძის საფინალო სასტვენმა სულზე მიუსწრო. მატჩი ცოტაც რომ გაგრძელებულიყო, ალბათ, „ტორპედო“ გაიხარებდა. დამძიმებულმა გრუნტმა, აქტიურმა თამაშმა თავისი გააკეთა, „დინამოს“ ფიზიკურმა მომზადებამ უმტყუნა.

რევაზ ძოძუაშვილი *(„ტორპედოს“ მწვრთნელთაგანი):*

— კარგი თამაში იყო. ფეხბურთელები უშეღავათოდ იბრძოდნენ. „დინამო“ საკმაოდ ახალგაზრდული გუნდია და სხვა დროსაც თუ ასეთივე მონდომებული იქნება, უეჭველად ბევრს გაამწარებს. შედეგი კი ლოგიკურია, წაგებას არც ჩვენ ვიმსახურებდით და, მით უმეტეს, არც „დინამო“.

გოჩა ტყემალაძე *(„დინამოს“ მწვრთნელი):*

— დიდი ხანია, ასეთი მატჩი არ მინახავს. ხშირად ვესწრები ჩვენი მეტოქეების თამაშებს, მაგრამ ამგვარი ბრძოლა არსად ყოფილა. ფეხბურთელებმა შესვენებამდე ჩემი დავალება კარგად შეასრულეს, მერე კი დაიღალნენ და შეცდომებიც მრავლად დაუშვეს. შინ ერთი ქულით კმაყოფილი არასდროს ვარ, თუმც „ტორპედოსთან“ ასეთი თამაშის შემდეგ ბიჭებისადმი სასაყვედუროც არაფერი მაქვს. მატჩით ნასიამოვნები დავრჩი.

ბურაბ დოლიძისა ფოტო

ბურაბ დოლიძისა ფოტო

ვახტანგ იაგორაშვილის დარტყმას და გოლს თბილისელთა სიხარული და ქუთაისელთა წუხილი მოჰყვა. მხოლოდ ერთი წუთით...

ფოთში მაყურებელს მსროლეს

ფოთი
4 აპრილი
16 საათი
ფაზისი
2 000 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 2:1 ვიტ ჯორჯია

1:0 მუმლაძე (25), **1:1** გოცირიძე (82), **2:1** ე. გასალია (89)

კოლხეთი: მ. გასალია, გოროზია, შალამბერიძე, ქობულაძე, ფანწულიძე, ნარსია (ქანტარია 53), ჯურაშვილი (ღალანიძე 27), კვირკველია, ხუჭუა, ე. გასალია, მუმლაძე (ნიფნივაძე 70)

სათადარიგონი: ქვაჩახია; ვართაგავა, ნადარაია, ბაჩილავა

ვიტ ჯორჯია: მურლანი, საჯაია, ქანკოტაძე, კობიაშვილი, ინწკირველი, დიდმელაშვილი, ყიფიანი (ნუნუნავა 68), გოჩაშვილი (ადამია 78), გოგობერიშვილი (გოცირიძე 57), გიორგი ქორიძე, მელქაძე

სათადარიგონი: ქურაძე; სულთანიშვილი, ი. ხაჭაპურიძე, დ. დოლიძე

გაფრთხილებები: ქორიძე (27), მუმლაძე (35), ქანტარია (79), საჯაია

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)

სფფშ-ის ინსპექტორი: ა. მილიჩკო

გოჩა ჯანაშია *ფოთიდან*

ისე მოხდა, რომ „კოლხეთმა“ ზედიზედ ორი საშინაო შეხვედრა „ვიტ ჯორჯიასთან“ გამართა. ნამატჩევს ამ ორ თამაშზე პარალელები ბლომად გაავლეს და არცთუ უსაფუძვლოდ.

როგორც მაშინ, გუშინაც უაღრესად დაძაბული მატჩი შედგა, ბოლო წუთებში მოჭარბებული დრამატიზმით აღსავსე. რაც უმთავრესია, კოლხებმა ორჯერვე მიწურულში შეძლეს სტუმართა დამწუხრება. ოღონდ ერთი განსხვავებით — მაშინ ოდენ ფრეს გამორჩნენ, ახლა კი მოიგეს.

ახალ საუკუნეში ეს „კოლხეთის“ პირველი სამიანი იყო. ფრეების სინდრომის შეყრის შემდეგ „ფაზისმა“ ბოლოს და ბოლოს გაიხარა.

ვერ ვიტყვით, რომ მატჩი სანახაობრივი გამოდგა. ეს უმთავრესად საგოლე მომენტების სიმწრით აიხსნება, თორემ ბრძოლა და თავდადება იცოცხლე, ბლომად იყო.

ტაქტიკური ჭიდილი პირველივე წუთებიდან გეცემოდათ თვალში. ჩანდა, ორივე გუნდი ზედმიწევნით იცნობდა ერთმანეთს. ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა და შეტევის რაიმეს მცდელობა იქვე იხშობოდა.

ასეთ დაძაბულობაში საგოლე მომენტი პირველად მე-15 წუთზე შეიქმნა. შალამბერიძემ ბურთი დაკარგა და მუმლაძემ კარისკენ დაძრულ ქორიძეს გაუჭრა. ხიფათი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ბოლო მომენტში იმარჯვა კვირკველიამ და სტუმრის დარტყმულს ვარდნაში გადაეფარა.

ათიოდ წუთში მასპინძლებმა გაიხარეს. ვიტელები კარიდან 35 მეტრში დაჯარიმდნენ და ბევრი არ ელოდა, შალამბერიძის იქიდან დარტყმულს შედეგი მოჰყვებოო. ნურას უკაცრავად, ჯონის წარმოუდგენელი სიძლიერის გასროლამ ლამის ხარიხა მოტეხა და იქიდან ასხლეტილზე მუმლაძემ მერლანს გონს მოსვლა არ აცალა, ისე გაუტანა ხელებს შუა.

გოლს თამაშის ხასიათი დიდად არ შეუცვლია. ერთი ეგ არის, სტუმრებმა უფრო მოინდომეს, მაგრამ კოლხების დაცვას ვერაფერი დააკლეს. ფილიას შეგირდები მეტოქის ქაოტურ შეტევებს იოლად იგერიებდნენ.

შესვენების შემდეგ შალამბერიძემ კინაღამ მეორე გაიტანა, როცა ისევ საჯარიმოდან ბურთი ვიტელთა კარს ოდნავ ააცდინა.

თემურ მახარაძე დიდხანს ორჭოფობდა, ძირითადში ფეხმტკივანი გოგობერიშვილი დაეყენებინა თუ გოცირიძე. მატჩის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე იგი გოგიბერაშვილს ენდო, თუმცა გოცირიძის გამოყვანა მაინც დასჭირდა და მანაც გაუმართლა.

„ვიტ ჯორჯია“ წაგებას ვერაფრით ეგუებოდა და რაც დრო გადიოდა, უფრო მწვავედ უტევდა, თუმც გოლის რეალური შანსი 82-ე წუთამდე არ შექმნიათ. აი, მერე კი ვიტელებს გაუმართლათ, მუმლაძის შეტევა ადამიამ საჯარიმოში ჩაწოდებით გააგრძელა, იქ კი გოცირიძემ დაუცველ კარში საგოლედ დაარტყა.

ისევ ფრე? აღმოხდათ კოლხებს. ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა, მაგრამ შეცდა მერლანი. საჯარიმოში ჩაწოდებულ მაღალ ბურთზე ვიტელთა მეკარე დაგვიანებით გამოვიდა. უკან დაბრუნება კი ვეღარ მოასწრო და ელდარ გვასალიამ საპაერო ბრძოლიდან წამოსული ბურთი თავს უკან გადაუგდო.

უნდა გენახათ კოლხთა სიხარული და ვიტელთა სასოწარკვეთა. მასპინძლებს არანსულად გაუხარდათ, თითქოს ფრედ დასრულებული შეხვედრის მოგება, ხოლო სტუმრებს — პირიქით, ორი წუთიც და „ფაზისიდან“ მორიგ ქულას წაიღებდნენ.

მატჩის დასრულებას კი სამარცხვინო ამბავი მოჰყვა. გასაგებია, ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის ემოციების მოთოკვა ძნელია, მით უმეტეს, წაგების შემდეგ, მაგრამ ვიტელთა საქციელის გამართლება არაფრით შეიძლება. ყველაფერი ჯერ კიდევ მატჩის მსვლელობისას დაიწყო, როცა საჯაიას კონფლიქტი მოუვიდა მაყურებელთან. მატჩის შემდეგ ამას შეხლა-შემოხლა მოჰყვა და საჯაიას ლამის მთელი გუნდი აჰყვა. სტუმრებმა გაავებულ ქომაგებს რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი ესროლეს და პოლიციას რომ არ ეყოჩაღა, ვინ იცის, ინციდენტი რითი დასრულდებოდა.

გახსოვდეს ფეირ პლეი!

 თბილისი
4 აპრილი
16 საათი
26 მაისი
200 (ტევადობა 35 000)

ლოკომოტივი 0:0 მერანი

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, შელია, სალუქვაძე, გილაური (პარამონოვი 77), ჭიჭვეიშვილი ანჩაბაძე, დათვაძე (ბაკრაძე 64), გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია (კიდარაშვილი 68)
სათადარიგონი: ასლანაძე; ლაცბინიძე, გოგნაძე, ონიანი
მერანი: ნაჭყეპია, გოგიტიძე, ჭინჭარაული, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, ხუციშვილი (გოდერძიშვილი 77), მუხინი, დევიძე, ბოლქვაძე (ბაჯელიძე 46), კვეკვესკირი, მინაშვილი
სათადარიგონი: ჯოროშინაძე; გუჯაბიძე, გ. ილურიძე, ჩაბიძე, კრავეიშვილი
გაფრთხილება: ნაჭყეპია (85)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ვ. ცირდავა (ტულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. მალალურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

დავით თავართქილაძე

ლიდერთან სტუმრად ფრე ერთია და ფეირ პლეის პრინციპები მეორე — ექვსეულში მოხვედრის შემდეგ „მერანი“, ფაქტობრივად, უმოტივაციოდ დარჩა, მაგრამ ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებს, როგორც ჩანს, არაფერს დაუთმობს.

ფეირ პლეისს „ლოკომოტივსაც“ შეავახსენებთ — შეხვედრაში ორჯერ იყო ეპიზოდი, მეტოქე ფეხბურთელი მინდორზე რომ გაიშოტა და თამაშის გაგრძელება არ შეეძლო, მაგრამ ლოკომოტიველებს ბურთი აუტზე არ გადაუგდიათ. ერთხელაც შელიასთან ორთაბრძოლაში ნაჭყეპია დაშავდა, ფეხზე ძლივს იდგა და მხოლოდ მაშინ ჩაიკეცა, როცა თანაგუნდელმა გადააგდო ბურთი აუტზე.

ფეირ პლეისკენ მურთაზ ხურცილავასაც მოვუწოდებთ. მერანელთა კაპიტანი სოსო დევიძე უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ ამ შეხვედრაში და საერთოდ, რა ხანია გამოირჩევა, თანატოლებში მისი დარი ენერგიული ნახევარმცველი არ ჩანს ჩვენს ჩემპიონატში, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ათვალწუნებული ჰყავს.

ოთხი დღის წინ ითამაშეს ამ გუნდებმა „სინათლის“ ოღროჩოღრო მინდორზე და „ლოკომოტივმა“ იძალა. ამჯერად წვიმაში, მიხეილ მესხის აუტალახებელ, ლამის თარაზოთი გასწორებულ მინდორზე გაეჯიბრნენ გუნდები. თითქოს ტექნიკისა და სისწრაფეში მჯობნ „ლოკომოტივს“ უნდა ემარჯვა, მაგრამ გივი ნოდიას ნაქები კომბინაციური სტილისა გუშინ გუნდს დიდი არაფერი ეტყობოდა. „მერანმა“ კარგად აუღო ალღო „ლოკომოტივის“ თამაშს და არც მეორე სართულზე დაუთმო რამე ცხადაძე-შელიას დუეტს. თუმც საერთო ჯამში შეხვედრა მაინც მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა — მათ ერთიორად მეტი სახიფათო მომენტი შექმნეს.

პირველი ტაიმის დასაწყისში დათვაძემ მარჯვენა ფლანგიდან მეტოქის კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, დასწრებაზე შენგელიამ იმარჯვა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. სტუმრებმა ჭინჭარაულის შორეული დარტყმით უპასუხეს — ლომაიამ ბურთი ხელებში გააქვავა. მერე ისევ შენგელიამ გააცუდა შანსი, როცა გოგიჩაიშვილის კუთხურს 4-5 მეტრიდან არაზუსტი თავური მოაყოლა. ამის შემდეგ კი ფორტუნამ ნაღდად გაუღიმა რკინიგზელებს — დევაძემ მასპინძელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, რომელიც მინაშვილმა თავით ლომაიას კარის ხარიხას გაარტყა.

ლოკომოტიველი დავით ჭიჭვეიშვილს ანდრეი მუხინმა ბურთი არ დაანება

„ლოკომოტივი“ ეპიზოდურად თუ უტევდა „მერანის“ კარს მასპინძლებს კვლავ აკლდათ ფეხმტკივანი მამუკა რუსია, „მერანის“ ნაგრიპალი მეგოლე დავით გოდერძიშვილი კი ბოლო წუთებში ჩაერთო თამაშში.

მეორე ტაიმი „მერანმა“ უფრო აქტიურად დაიწყო. მოედნის ცენტრში ორთაბრძოლებს არ თმობდნენ „თარგაბელიას ბიჭები, „ლოკომოტიველები“ კი, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებდნენ აგრესიულობაში. თუმც ტაიმის შუაში ვითარება შეიცვალა. მასპინძლები გამოცოცხლდნენ, „მერანმა“ კი უკან დაიხია და კონტრშეტევების იმედად დარჩა. ორჯერ იხსნა რევაზ ნაჭყეპიამ თავის გუნდი — ჯერ ახლოდან გოგიჩაშვილის ცაციათი დარტყმული მოიგერია, მერე ასევე საჯარიმოში შეჭრილ ანჩაბაძეს აუღო მოჭრილი დარტყმა დაბალ შორეულ კუთხეში. მერანელთა კონტრშეტევაზეც უნდა ითქვას, როცა სამი მასპინძელი ორი ლოკომოტიველი მცველის წინაშე დარჩა, მაგრამ მინაშვილს დამაგვირგვინებელი დარტყმა გაუცუდდა. ბოლოს ნაკრების ექსკაპიტანსაც მიეცა შანსი — მეტოქის საჯარიმოში ჩვეულად „აიწია“, თუმც თავური ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა.

ერთი სიტყვით, ახალფორმატიანი ჩემპიონატის მომხრეებისთვის ეს მატჩი თითის საჩვენებელი გამოდგა. დინამოელებსა და რიონისპირელებსაც არ წაუხდებოდათ ამით ხასიათი. ეგაა, პლეი ოფის პირველ შეხვედრაში რკინიგზელებმა ვერ გაზარდეს მდევრებთან ქულათა სხვაობა, „მერანი“ კი ფეირ პლეის იმიჯს გამორჩა.

I–VI ადგილისთვის

ლოკომოტივი	1	0	1	0	0:0	29
დინამო	1	0	1	0	1:1	25
ტორპედო	1	0	1	0	1:1	25
კოლხეთი	1	1	0	0	2:1	19
ვიტ ჯორჯია	1	0	0	1	1:2	19
მერანი	1	0	1	0	0:0	17

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ეტაპი
12
1 ტური

I–VI ადგილები

რომ ჩივი, რას ჩივი?

ბოლნისი
3 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 6 000)

შუქურა 0:0 სამგურალი

შუქურა: გაბუნია, ქუტიძე, გეგეშიძე, ოქროპირიძე, მესიხიშვილი, ბაღუნაშვილი, ჯ. ბერიძე, კალანდაძე, ფუტკარაძე, კიკვიძე (კაკალაძე 59), თ. კვირკველია
სათადარიგონი: გოგუა; კორიტკოვი, ლომთათიძე, ჩახუნაშვილი, ვალიჩავა, ჩელებაძე
სამგურალი: ბოდოკია, ჭელიძე, ფრანგიშვილი, ბერაძე, მ. ჯინჭარაძე, თურმანიძე, დარსაძე, კვირნაძე, კიკვიძე, ქუთათელაძე (ზ. ფხაკაძე 76), ბანძელაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე; ცუცქირიძე, ვადაჭკორია, ლ. ქობულაძე, კობალიანი
გაფრთხილება: ბოდოკია (68), ბანძელაძე (75)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

იუზა კაციტაძე ქობულეთიდან

საშვილიშვილო საქმე გაკეთდა ქობულეთში. ძალიან მოკლე დროში გაკოხტავდა და კეთილმოეწყო იქაური „ცენტრალური“. ეს არენა იერსახით ახლა სამ-ოთხს თუ ჩამოუვარდება ქვეყანაში, რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ კი, ალბათ, უფრო დამშვენდება. დღესდღეობით კი ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს სტადიონს — მოედნის საფარი, უფრო სწორად, მისი არასრულფასოვანი სადრენაჟო, რის გამოც ავდარში მოედანი უსაშველოდ იტბორება.

მატჩამდეც სამი დღე თითქმის გადაუელებლად წვიმდა და მეტოქეებს გუბეებით სავსე მინდორზე მოუხდათ თამაშის დაწყება. დაწყება, თორემ რაღაც ნახევარ საათში მოედანი უკვე ახალდახნულ ყანას დაემსგავსა და, ბურთაობაც უფრო გაჭირდა. უვარგისმა საფარმა, ცხადია, დაღი დაასვა თამაშს, ოღონდ ისიც სათქმელია, მეტოქეთა საბრძოლო განწყობაზე დიდად არ უმოქმედია.

პირველ ტაიმში „სამგურალი“ უფრო ორგანიზებულად გამოიყურებოდა. წყალტუბოელებმა სწრაფ კონტრიერიშებზე გააკეთეს აქცენტი და საწყის წუთებში ორჯერ ახლოსაც იყვნენ მიზანთან. ჯერ კვერნაძემ ისარგებლა ოქროპირიძის შეცდომით, მეურვეს მარდად დაუსხლტა და მარჯვენა ფლანგიდან კარგად ჩაუწოდა საჯარიმოში შეჭრილ ქუთათელაძეს, თუმც სტუმართა გოლეადორი ბურთს დასარტყმელად ვერ მიწვდა. წყალტუბოელთა მორიგი იერიშიც კინაღამ გოლით დასრულდა. სწრაფი კომბინაცია ჯინჭარაძის, კვერნაძის და კიკვიძის მონაწილეობით ამ უკანასკნელის კარისკენ დარტყმით დასრულდა და... მასპინძლები ძელმა იხსნა. მოგვიანებით, შუა ტაიმში კიკვიძემ ერთხელაც გაისროლა კარისკენ საჯარიმოს გარედან, ამჯერად მას გბუნიამ აუღო. რაც შეეხება მასპინძელთა ხშირ, მაგრამ ერთფეროვან შეტევებს, მათ თითქმის უპრობლემოდ იგერიებდნენ სტუმართა მცველები.

„შუქურამ“ ვერც მეორე ნახევარში მოუძებნა გასაღები მეტოქის დაცვას. ერთხელ იყო, „სამგურალის“ საჯარიმოში დაძაბულობა შეიქმნა და ფრანგიშვილმა განმუხტა სიტუაცია. მეორედ ბაჟუნაიშვილმა 15 მეტრიდან გაგზავნა ბურთი კარისკენ, მაგრამ არცთუ ძლიერად და ბოდოკიამ აუღო. გამარჯვებასთან უფრო ახლო ამ მატჩში მაინც „სამგურალი“ იყო. დარსაძემ ახლო კუთხეში რომ დაურტყა გაბუნიას, მეკარემ გაჭირვებით კუთხურზე მოიგერია. არბიტრის მიერ დამატებულ დროში კიკვიძეს მიეცა გატანის შანსი, მაგრამ პარტნიორის ფლანგურ გადაცემას ვერ მიუსწრო.

უმაღლეს ლიგაში გადამსვლელთა დავაში ყოველ ქულას, ცხადია, დიდი ფასი ედება, განსაკუთრებით, სტუმრად მოპოვებულს. ალბათ, ამიტომაც ხარობდნენ მატჩის შემდეგ წყალტუბოელები, რომლებსაც ჩემპიონატის საგაზაფხულო სტადიონიდან მთავარი მწვრთნელის თანაშემწის გია გიგაგაძის ხელმძღვანელობით უწევთ წვრთნა და თამაში. „შუქურა“ და მისი ქომაგნი, რა ძნელი მისახვედრია, ფრემ თუ გაანაწყენა მხოლოდ. ცხელ გულზე ქობულეთელებმა მატჩის არბიტრზე მიიტანეს იერიში. რას ემარლებოდნენ სერგო კვარაცხელიას? მგონი, არც იცოდნენ.

ლანჩხუთი
3 აპრილი
16 საათი
ეთბარაფი შევარდნაძე
1000 (ტევადობა 22 000)

გურია 3:1 მეტალურგი

2:0 ენდელაძე (34), 2:0 ჩხეტია (38), 3:0 ენდელაძე (73პ), 3:1 ფირცხალაიშვილი (83)
გურია: დოლიძე, განევი, გაბრიჭიძე, ორბელაძე, ვოსკანოვი, ჯღარკავა (სამხარაძე 80), ქიქავა, ფაცურია, სულაკაძე, ჩხეტია (კირკიტაძე 46), ენდელაძე (მინაშვილი 89)
სათადარიგონი: შეფილაძე; მ. კუკულაძე, პატარაია, ლორია
მეტალურგი: თ. ოდიკაძე, გურეშიძე (ორმოცაძე 88), ბ. ლურსმანაშვილი, ლ. მერეგაშვილი, გოგაძე, გენაძე, ლონღაძე, აჭარაძე (ფირცხალაიშვილი 46), მაღლაკელიძე, გ. გვაზავა, დ. ოდიკაძე
სათადარიგონი: ნიკაბერიძე; ფანცხავა, მახათაძე, ზნეიძე, შველიძე
გაფრთხილება: განევი (13), აჭარაძე (26), ვოსკანოვი (76), ლურსმანაშვილი (87)
გაძევება: განევი (44)
მსაჯები: ბ. კრიჭაშვილი; ზ. ზნეთუშაშვილი (ორივე თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ქუთაისი); ა. ორდენიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. გრეკოვი

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

თავსხმა წვიმამ „ევერაფი შევარდნაძის“ მინდვრის საფარს მძიმე კვალი დაატყო.

არადა, გუშინწინდელი უაღრესად პრინციპული მატჩი დატბორილმა მინდორმა უინტერესო სანახაობად აქცია. ფეხბურთიც უფრო წყალბურთს დაემსგავსა.

ამ გუნდების დაპირისპირებას მოჭარბებული ინტრიგა ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისიდან მოსდევს. მაშინ ზესტაფონიდან აბარგებულმა „მარგვეთის“ ფეხბურთელებმა ბინა ლანჩხუთში დაიდეს და მათთვის მშობლიური ქალაქის გუნდთან მოგებას უჩვეულო ხიბლი აქვს.

თამაშის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ არავინ არაფრის დამთმობი იყო და ბრძოლა გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. თუმცა მობურთალთ ატალახებულ და დამძიმებულ გრუნტზე ჯეროვნად გარჯა უჭირდათ, აქედან გამომდინარე, გააზრებული და დალაგებული ფეხბურთის ჩვენებაც. ურთიერთშეცდომებზე გათვლილ თამაშში კარგა ხანს საგოლე ეპიზოდებამდე საქმე არ მისულა. სამაგიეროდ, მოედნის ცენტრში ცხარე ბრძოლა ვიხილეთ, სადაც უფრო მასპინძლები ვარგობდნენ და შიგადაშიგ გაცილებით მშრალი ფლანგებიდან ცდილობდნენ ფონს გასვლას.

ნახევარი საათი ასე გაილია და საქმეში გურული სულაკაძე ჩაერთო. მის ჩინებულ აბრაგანს პირველი ხიფათი მოჰყვა. თუმცა თამაზ ოდიკაძის ნახტომიც არანაკლებ ეფექტური გამოდგა. და მაინც, სულაკაძემ მალე გოლიც გამოაცხო, როცა მის დარტყმულს მეკარე კვლავაც მედგრად დაუხვდა, ოღონდ მოგერიებულზე ენდელაძემ ივარგა და მცველებთან ჭიდილში შეძლო ბურთის კარში გადაგზავნა.

გოლმა „გურიას“ ფრთები შეასხა და ოთხიოდ წუთში შედეგიც საკადრისი მოიმკო. ჯღარკავას კუთხურს ჩხეტიამ თავი დაუხვედრა და ბურთი მეორედ აღმოჩნდა მეტალურგთა კარში.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ თითქოს მატჩის ბედი გადაწყვიტა, მაგრამ ტაიმის ბოლოს სტუმრებს თამაშის გადარჩენის შანსი მიეცათ. ალექსანდრე კრიჭაშვილმა სეხნია განევს უხეშობა არ აპატია და ყვითელი ბარათით დასაჯა. განევს ერთი გაფრთხილება უკვე ჰქონდა და „გურიაც“ კაცნაკლული დარჩა.

წინ მთელი 45 წუთი იყო და სტუმრები თამაშის განახლებისთანავე შეეცადნენ ჩარხის წაღმა დატრიალებას. გურულებმაც უკან დაიხიეს და კირკიტაძის დამატებით დაცვა გააძლიერეს. იმრლებმა ცდა დააკლესო, ვერავინ იტყვის, მაგრამ აქედან რომ არაფერი გამოვიდა, შედეგიდანაც ჩანს.

„მეტალურგს“ კარი შანსი ჰქონდა ანგარიშის შესამცირებლად, როცა შეცვლაზე შესულმა ფირცხალაიშვილმა გუბაზ დოლიძეს შეუტა, მაგრამ გამოცდილ კარის დარაჯს ვერაფერი დააკლო.

სამაგიეროდ, ასევე გამოცდილმა და ჯღარკავასთან ერთად გამორჩეულმა ენდელაძემ კრიჭაშვილს პენალტი დასტყუა. ზვიადმა ერთ-ერთ ეპიზოდში ბოლომდე იბრძოლა და ვარდნაში გოგაძეს ფეხებსაც წამოეგო. სტუმარმა აშკარად ბურთზე ითამაშა და წესების დარღვევის გარეშეც, თუმცა კრიჭაშვილმა სხვაგვარად განსაჯა. თერმომეტმეტრიანი კი თავად დაზარალებულმა დაარტყა და უნაკლოდაც.

ყველაფერი აქ მორჩა. და ერთი, რაც იმერლებმა მოახერხეს, ერთი გოლის გატანა იყო. პენალტიდან ათიოდ წუთში საკმაოდ აქტიურმა ფირცხალაიშვილმა მეორე ცდაზე მაინც მოახერხა დოლიძის დამწუხრება. გეწაძის პასს მან ვარდნაში შეაგება დარტყმა და ბურთს გურულთა კარის ხაზი გადააკვეთინა.

„მეტალურგი“ ერთადერთი გუნდი იყო, რომელმაც „გურიას“ წლეულს ოთხი ქულა წაართვა. თუმც ეს რა მოსატანია, როცა გადამწყვეტ ეტაპზე გურულები სამი ქულით გაიჭრნენ წინ. ჰოდა, მომავალი ტურისთვის იმერლებს არანაკლებ პრინციპული მატჩი ელით შინ „მილანთან“. აი, იქ წაფორხილება უკვე მეტისმეტი იქნება.

ზესტაფონო, დაგშორდი!

ყოფილი მარგველების ეოგვერდი

ზესტაფონი
4 აპრილი
16 საათი
ქვეული ანაბა
800 (ტევადობა 3 000)

მილანი 3:0 ცხინვალი

I–VI ადგილები

მილანი	1	1	0	0	3:0	24
გურია	1	1	0	0	3:1	24
მეტალურგი	1	0	0	1	1:3	21
შუქურა	1	0	1	0	0:0	21
სამგურალი	1	0	1	0	0:0	21
ცხინვალი	1	0	0	1	0:3	20

იყიდება

ორკარიანი ავტომანქანა
„მიცუბიში პაჯერო“ ბენზინზე
1986 წლის გამოშვება.
ფასი 3 500
ტელეფონი: 8 (99) 55 16 75



რეხვიაშვილს ბოლონია დაელაპარაკა, იუვენტუსი კი უყურებს

ᲕᲘᲜᲐ უქმეებზე რიგის „სკონტო“ ინგლისს სტუმრობდა და ლატვიის ჩემპიონატის დაწყებამდე ამხანაგურად „კემბრიჯ იუნაიტედს“ გაეჯიბრა. ეს ჩვენთვის ნაკლებ საინტერესო კი არის, მაგრამ ინგლისშივე მნიშვნელოვანი ამბავი, ერთი ქართველი ფეხბურთელის მომავალი უნდა გარკვულიყო.

ალბათ, გეხსომებათ, „სკონტოს“ კაპიტან ალექსანდრე რეხვიაშვილით სერია A-ს „ბოლონიაა“ დაინტერესებული.

ყველაფერი თბილისში საქართველო — რუმინეთის მატჩის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო, „ბოლონიას“ წარმომადგენლები დაესწრნენ კიდეც 28 მარტის თამაშს, მაგრამ თბილისიდან ისე წავიდნენ, შესაძლო ტრანსფერის თაობაზე არაფერი უთქვამთ.

ახლა კი იტალიელებმა „სკონტოს“ ხელმძღვანელებსა და ალეკო რეხვიაშვილს ინგლისში ჩააკითხეს მოსალაპარაკებლად. იტალიელები კი ვახსენეთ, მაგრამ მარტო ბოლონიელებს არ ვგულისხმობთ, „სკონტოს“ „კემბრიჯთან“ თამაშს, როგორც ჩვენმა ლატვიელმა კოლეგამ გვითხრა, ტურინის „იუვენტუსის“ წარმომადგენელიც დასწრებია ალეკოს საქმეში სანახავად.

— ბოდიში, მაგრამ საქმისთვის სჯობს, დეტალები არ დავაკონკრეტო. ინგლისში ჩემს პირად აგენტსა და იმ ხალხს შევხვდი, რომლებსაც ჩემი გადაბირება სურთ. ყველაფერი კარგადაა, ისე, როგორც მე, „სკონტოსა“ და ჩემს სავარაუდო ახალ კლუბს სურს. ახლა, მოგეხსენებათ, იტალიაში სატრანსფერო სეზონი დახურულია და კონტრაქტის გაფორმებაც არ არის საჩქარო საქმე, თანაც ახლა ლატვიაში იწყება ჩემპიონატი. ორი-სამი კვირაც და იმ გუნდის ვინაობასაც შევიტყობთ, სადაც კარიერას გავაგრძელებ — გვითხრა ალეკო რეხვიაშვილმა, ინგლისიდან რიგაში ახალჩასულს რომ შევეხმიანეთ.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

ცქიტიშვილს საქართველოში ბუნდი ატკინეს, გერმანიაში კოჭი

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ „ფრაიბურგის“ ქართველი ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი წინა შაბათს, ბუნდესლიგის მორიგ ტურში, „აინტრახტთან“ თამაშისას დაშავდა და მე-17 წუთზე შესაცვლელი შეიწნა — მეტოქემ მას კოჭში ფეხი ჩაარტყა.

— კოჭი შემიშუპდა და ახლა საფენები მაქვს შემოხვეული. ფეხი საშინლად მტკივა. ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი, რამდენ ხანს ვიქნები უქმად, მაგრამ ორი კვირა რომ ნამდვილად ვერ ვითამაშებ, ამას ექიმების თქმაც არ უნდა. ხუთშაბათს რენტგენს გადამიღებენ და ყველაფერი ნათელი გახდება.

ვშიშობ, მყესიც არ მქონდეს გაწყვეტილი. შესაძლოა, 24 აპრილამდე, საქართველოს ნაკრების ამხანაგურ შეხვედრამდე ისრაელთან, ვერც მოვმჯობინდე. თუ ყველაფერი კარგად იქნა და ებრაელებთან მატჩისთვის ისევ გამომიძახეს, მაგრამ არ მათამაშეს — ნაკრების მწვრთნელები თავს ნუღარ შეიწუხებენ, ტყუილად ჩემს გამოძახებას აზრი არა აქვს — გვითხრა ლევან ცქიტიშვილმა, როცა ფრაიბურგში დავუკავშირდით.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

რესტორანი მზიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

მანჩესტერში წარსული ვერ გააცოცხლეს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

ოლე გუნარ სოლსკიაერი: 1999 წლის 26 მაისი, 2001 წლის 3 აპრილი

მანჩესტერ იუნაიტედი 0:1 ბაიერნი

მანჩესტერი, «ოლდ ტრეფორდი»

66 584 მაყურებელი

0:1 პაულო სერჟიო (86)

ბარტეზი, გ. ნევილი, სტამი, ბრაუნი, სილვესტრი, კინი, ბექემი (იორკი 87), სქოულზი, გიგზი, ენდი კოული, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

კანი, ლინკე, კუფური, ანდერსონი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, შოლი (პაულო სერჟიო 76), ეფენბერგი, ელბერი, იანკერი (ციკლერი 69)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: ბექემი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, ლიზარაზუ; მსაჯი: ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

8	კარისკენ დარტყმა	4
6	კარში დარტყმა	8
18	ჯარიმა	19
6	კუთხური	5
4	თამაშგარე	4

ინგლისელებს გერმანელები კარგად ვერ სცნობიათ. თამაშის წინ „ოლდ ტრეფორდის“ დინამიკებიდან ფრედი მერკური ბარსელონას ადიდებდა. ინგლისელთა აზრით, ამ სიმღერის გაგონებაზე ფეხბურთელებს 1999 წლის „კამპ ნოუს“ ფინალი უნდა გახსენებოდათ, რითაც იუნაიტედელებს ამაღლებული განწყობა დაეუფლებოდათ, ხოლო ბაიერნელებს ხასიათი წაუხდებოდათ. რას მიაღწიეს? იმას, რომ „ბაიერნი“ უფრო დაიგეშა და მასპინძლებს გამარჯვებაც დასტყუა.

ცხადია, მხოლოდ ეს არ იყო მიუნხენელთა გამარჯვების მიზეზი. ერთი, რომ მათ ისედაც კარგად ახსოვდათ ორი წლის წინ ბოლო წამზე დაკარგული ჩემპიონთა თასი და, რაც მთავარია, „ბაიერნმა“ „მანჩესტერი“ სწორედ შერჩეული ტაქტიკით და მისი კარგი შესრულებით დაჯაბნა. დანარჩენი — წაგებული ფინალი, მერკურის „ბარსელონა“ და სამი წლის წინ ჰიცფელდისეული „ბორუსიას“ მიერ ამავე „ოლდ ტრეფორდზე“ გამარჯვება ოდენ დამატებითი სტიმულია.

„მანჩესტერს“ პირველ ტაიმში არა უშავდა. მართალია, ბევრი მომენტი არ შეუქმნია, მაგრამ არც მეტოქეს არ მისცა ამის საშუალება. შესვენების შემდეგ მასპინძელთა თამაშს რაიმე უკეთესობა არ დასტყობია. სამაგიეროდ, სტუმრებმა უმატეს და ფაბიენ ბარტეზს ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარებინეს. ფრანგმა მეკარემ საოცარ ნახტომებში მოიგერია იენს იერემისის დარტყმები, ხოლო ალექსანდრ ციკლერის გასროლილი ბურთი მისი ხელიდან ხარიხას მოხვდა. ეს უკვე საგანგაშო სიგნალი იყო, მაგრამ ინგლისელებმა მას ყური არუგდეს. მათ, ალბათ, ისიც არ შეუნიშნავთ, როგორ გულმოდგინედ მოლაპარაკებდა ოტმარ ჰიცფელდი პაულო სერჟიოს თამაშის დასრულებამდე 14 წუთით ადრე, როცა მინდორზე შეშვებას უპირებდა...

უფრო სასეირო ის იქნებოდა, „ბაიერნს“ გოლი დამატებულ დროში გაეტანა (ფრედი მერკურის ამბავში), თუმცა ბევრიც არ დაკლებია. 86-ე წუთზე შტეფან ეფენბერგმა საჯარიმო ჩააწოდა, საჰაერო ბრძოლის შემდეგ ბურთი სერჟიომ მიიღო და გაიტანა — როდემდე უნდა ჩაედინა ბარტეზს საგმირო საქმეები?

„ბაიერნმა“ გასვლაზე მოიგო, მაგრამ ამ დონის გუნდებისთვის სტუმარ მასპინძლობის ფაქტორი, ფაქტობრივად არაფერს ნიშნავს და ბავარიელებს თავი ქუდში სულაც არა აქვთ. გავიხსენოთ, რომ მატჩის წინ გერმანელები ნახევარფინალში გასვლის შანსებს ორმოცდაათი ორმოცდაათზე აფასებდნენ. ახლა, სტუმრად მოგების მერეც, ოტმარ ჰიცფელდს აზრი არ შეუცვლია და ქომაგებს აფრთხილებს, ეიფორიაში ნუ ჩავარდებითო. უშუალოდ მატჩზე კი „ბაიერნის“ მწვრთნელმა თქვა: „მეტოქეს პრესინგი ვეთამაშეთ და თავისუფალი სივრცე არ დავუტოვეთო. გულახდილად რომ ვთქვა, „მანჩესტერის“ წინააღმდეგ სხვა ტაქტიკით თამაში უბრალოდ წარმოუდგენელია — არ შებოჭავ და აუცილებლად გაგიტანს“.

სერ ალექს ფერგიუსონს თამაშის თავისეული ხედვა აქვს. მისი ადგილიდან ისე ჩანდა, რომ „მანჩესტერმა“ კარგად ითამაშა, მოგებასაც იმსახურებდა და მხოლოდ უიღბლობის გამო დამარცხდა. ორი კვირის მერე ძალიან იოლად შეგვიძლია იგივეს გაკეთება, რაც დღეს „ბაიერნმა“ გვიქნაო, თქვა სერ ალექსმა. მის იმედს ბიქსენტ ლიზარაზუს და ჰასან სალიჰამიჯიჩის დისკვალიფიკაციაც ამყარებს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მანჩესტერელებს დევიდ ბექემი იმავე მიზეზით არ ეყოლებათ.

ბიქსენტ ლიზარაზუ კი ფერგიუსონს იმედიანად ყოფნას არ ურჩევს, ჩემთვის ლიგა ჯერ არ დამთავრებულა, რადგან ნახევარფინალში გუნდს ისევ დავუბრუნდებიო.

გიორგი დარჯანია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

ათას ერთი 2001 წელს

გუშინ თამაშნასწავლი თურქები ევროპას გალა-კონცერტებს უწყობენ

გალათასარაი 3:2 რეალი

სტამბოლი, «ალი სამი იენი»

22 000 მაყურებელი

0:1 ელგერა (32), 0:2 მაკელელე (43), 1:2 უმითი (47პ), 2:2 ჰასან შაში (65), 3:2 ჟარდელი (75)

ტაფარელი, კაპონე (ფატიჰი 46), ბიულენტ კორქმაზი, პოპესკუ, ერგუნი, სუატი (ბიულენტ აკინი 46), უმითი, ოკანი, ჰაჯი, ჟარდელი, ჰასან შაში
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, ელგერა, მაკელელე (სელადესი 46), მაკმანამანი (სოლარი 89), ფიგუ, რაული, მორიენტესი (გუტი 69)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: ოკანი, პოპესკუ, სალგადო; მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

8	კარისკენ დარტყმა	4
7	კარში დარტყმა	5
18	ჯარიმა	15
3	კუთხური	4
1	თამაშგარე	3

სამშაბათის საღამო სტამბოლში ათას ერთი ღამის ზღაპარს ჰგავდა. შარშანდელ ტრიუმფატორთა პირველ მეოთხედფინალურ მატჩში მასპინძლებმა ისეთი ამბები დაატრიალეს, სწორედაც რომ შეჰერეზადას მონაყოლი მოუხდებოდა — უეფას თასის მფლობელმა „გალათასარაიმ“ 3:2 მოუგო ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „რეალს“. არადა, თავიდან 0:2 აგებდა...

ნეტავ სად დაკარგა ამ ხალხმა „პირველი გოლის ფაქტორის“ კომპლექსი? საოცარია, პირდაპირ...

„ბაიერნისგან“ განსხვავებით, რომელმაც მანჩესტერში გაიმარჯვა და ლიგის ორი წლის წინანდელ ფინალში წაგებისთვის ნაწილობრივ მაინც იყარა ჯავრი, სამეფო კლუბმა თურქებს სუპერთასზე მიყენებული წყენა შეარჩინა.

საინტერესოა, რომ მაშინაც და ახლაც გამარჯვების გოლები ბრაზილიელმა მარიო ჟარდელმა გაიტანა. ტყუილად როდი ამბობდა თურქთა მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ, ჟარდელის განსაკუთრებული იმედი მაქვსო.

პირველ ტაიმში მასპინძლები რაღაც გაუგებრად ირჯებოდნენ და აბა, ასეთ ქცევას „რეალი“ ვის შეარჩენს? ნახევარი საათი რომ გამოხდა, მადრიდელთა დაყინება ტაბლოზე აისახა — ლუიშ ფიგუს ჩაწოდება და ივან ელგერას თავური ზუსტი გამოდგა. ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი რაულ-მაკელელეს სწრაფი კომბინაცია და თურქთა კარის ბადეში აფართხალებული ბურთი — 0:2.

ნუთუ ამათაც ემართებათ? ალბათ. მეორე ნახევარში „რეალს“ საქმე მოთავებული ეგონა და უკვე ნახევარფინალის შესაძლო მეტოქეზე თუ ფიქრობდა, მაგრამ... სტამბოლელებმა ჯიქურ შეუტიეს. ჯერ ჟარდელის თავური ოდნავ აცდა კარს, მერე მაკელელემ თავის საჯარიმოში ჰასან შაში წააქცია და დავალა უმითმა თერთმეტი მეტრიდან ერთი გაქვითა. მალე ანგარიში გათანაბრდა, იმავე ჰასან შაშმა ახლოდან მადრიდელთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა. დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე კი ჟარდელმა ფატიჰის ჩაწოდებულს მოხდენილი თავური დაჰკრა და თავისიანები დააწინაურა. მოგვიანებით ბრაზილიელმა კიდევ ერთი შეაგდო, მაგრამ თამაშგარეაო და არ ჩაუთვალეს. ჟარდელი შაშთან და ჰაჯისთან ერთად მასპინძელთაგან გამოირჩეოდა. ბებერმა რუმინელმა კი პირველ ტაიმში შორიდან ორი ისეთი დაარტყა, ოდნავ წინ გამოსულ ჭაბუკ კასილიასს სულ ჭირის ოფლი ალვრევინა. ცბიერია ჰაჯი, მაგრამ იმ საღამოს არ გაუმართლა.

„ნახევარფინალში გასასვლელად კარგი შანსი გაგვიჩნდა — თქვა მირჩა ლუჩესკუმ — თუმცა ძალიან კარგად გვესმის, რა გველის ორი კვირის თავზე მადრიდში. პირველ ტაიმში უნიათოდ ვირჯებოდით. მიზეზი ის არის, რომ თამაშამდე დასასვენებლად მხოლოდ ორი დღე გვქონდა. ეტყობა, არ გვეყო. თუმცა მეორე ნახევარში კლანჭები გამოვაჩინეთ. ვიმედოვნებ, საპასუხო მატჩისთვის უფრო თანმიმდევრულად მოვემზადებით და გმირობების ჩადენა აღარ დაგვჭირდება“.

თურქული გაზეთების ცნობით, შესვენებაზე ლუჩესკუს თავისი ფეხბურთელებისთვის ღირსების გრძნობა გაუხსენებია: „ვინ გითხრათ, რომ ეს კრახია? თქვენ თავმოყვარე ადამიანები ხართ, გადით, ღირსეულად ითამაშეთ და ქომაგები შინ ბედნიერები გაუშვით“ — უთქვამს ლუჩესკუს.

მადრიდელთა თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე თავდაჭერილი გახლდათ: „ისინი გააფთრებულნი გვიტევდნენ, ჩვენ კი შესვენებამდელი უპირატესობა უშნოდ გავფლანგეთ. თამაში ორ თანაბარ მონაკვეთად შეიძლება დავყოთ — ჯერ ჩვენი ინიციატივა, მერე „გალათასარაის“ მწვავე პასუხი. ჩემს ფეხბურთელებს კი მეორე ტაიმისთვის მკაცრად მოვთხოვ.

ცხადია, შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ მეტოქის მინდორზე ორი ბურთი გავიტანეთ და ეს საპასუხო მატჩისთვის ურიგო მარაგი არ გახლავთ“.

თავისიანების ქცევით აღშფოთდა ლუიშ ფიგუც. მისი აზრით, მეორე ტაიმი „რეალმა“ „საშინლად“ ჩაატარა: „თავიდან სწორი გზა ავირჩიეთ, მაგრამ ფეხბურთი ხომ ყოველთვის გამოუცნობია. წესით, შესვენების მერე თამაშს უფრო სერიოზულად უნდა მივდგომოდით, მაგრამ კონცენტრაცია დავკარგეთ და საკუთარ კარს მივეწებეთ, რაც დიდი შეცდომა იყო“.

აი, რობერტო კარლოსი კი უფრო ხალისიანადაა: „პირველ ტაიმში მართლაც ჩინებულად ვითამაშეთ. მერე კი... თუმცა, პანიკის საფუძველს ვერ ვხედავ. მეოთხედფინალი ორი მატჩისგან შედგება, ამიტომ საშიში არაფერია. უბრალოდ, საპასუხო შეხვედრაში უფრო მწვავედ უნდა შევუტიოთ. მოკლედ, მჯერა, რომ ჩვენსას მაინც მივაღწევთ და ნახევარფინალში გავალთ“.

თურქულმა პრესამ ამ გამარჯვების გამო ერთი ამბავი ატეხა. „გალათასარაი“ ფენიქსია“ — ასეთი სათაურით გამოვიდა გუშინდელი „ჰურიეთი“. ნახევარმცველმა ოკანმა კი გაზეთ „მილიეთს“ განუცხადა, რომ ეს მოგება საერთო გამარჯვების მხოლოდ შესავალია: „ბერნაბეუზე“ მატჩის შემდეგ ნამდვილ ზეიმს მოვაწყობთ. მიხარია, რომ ამ მძიმე ჟამს ხალხი გავახარეთო — ამბობს ოკანი. „მძიმე ჟამში“ კი ბოლოდროინდელ ფინანსურ კრიზისს გულისხმობს, რომელიც თურქეთში მძვინვარებს. აკი ჟარდელის გოლის მერე სტადიონზე განათებაც ნაწილობრივ გამოირთო და რამდენიმე წუთს თამაშიც შეწყდა.

მადრიდში ესენი 18 აპრილს შეხვდებიან. სტუმრებს ერთი მნიშვნელოვანი დანაკლისი ექნებათ. მეორე ყვითელი მიიღო და მინდორზე ვერ გავა გამოცდილი რუმინელი მცველი გეორგე პოპესკუ.

სოლომონ გულისაშვილი

REUTERS სტამბოლიდან

კლოდ მაკელელე და უმითი (№22) ჩოჩქოლში

განო ოქროპირიძე
ბერლინიდან

ზუსტად 678 დღის შემდეგ „ბაიერნმა“ შური იძია. გერმანია მიუნხენელებისგან 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ დამარცხებისთვის რევანშს ითხოვდა. ახლა გერმანელთა მოთხოვნა, თუმცა ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ, მაინც დაკმაყოფილებულია.

წინ საპასუხო მატჩია.

თქვენ დაგვავიწყეთ 1999



გერმანელმა კარსტენ იანკერმა პოლ სქოულზის თავი არ დაზოგა

გუშინწინ, მანჩესტერში თამაშის დასრულების შემდეგ, მიუნხენელთა პრეზიდენტი (ამავე დროს გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი) ფრანც ბეკენბაუერი ჟურნალისტებმა მოიხელთეს.

„დღეს ჩვენ სუპერბაიერნი ვიხილეთ, თქვენმა გუნდმა დიდებულად ითამაშა... — ერთ ჩვენს კოლეგას „კაიზერ ფრანცისთვის“ კითხვა უნდა დაესვა, მაგრამ რესპონდენტმა გააწყვეტინა: „ნურავინ ჩავარდება ეიფორიაში, დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ჩვენ მოსაგებად ჩამოვედით და მიზანს მივაღწიეთ. ახლა გასახდელში ფეხბურთელებიც აღფრთოვანებულები არიან, მაგრამ მინდა ისინი გავაფრთხილო, რომ გონს დროზე თუ არ მოეგებიან, ორ კვირაში მიუნხენში საშინლად გაწბილდებიან. საქმეს მოთავებულად მაშინ ჩავთვლი, როცა კლუბის მუზეუმში კიდევ ერთ ჩემპიონთა თასს ვიხილავ. ისე, გეთანხმებით, „ბაიერნმა“ დღეს ჩინებულად ითამაშა“ — თქვა ბეკენბაუერმა.

„მანჩესტერ იუანიტედი“ მართლაც უძლიერესი გუნდია, მაგრამ არა დაუმარცხებელი — ეს სიტყვებიც „ბაიერნის“ პრეზიდენტს ეკუთვნის და ჯერ კიდევ თამაშამდე წარმოთქვა — მთავარია, გასალები მოვუძებნოთ“... და მოუძებნეს კიდეც. არც შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო, თამაშამდე ბავარიელები კბილებს ილესდნენ:

„ორი წელია, ამ დღეს ველოდი და აი, დადგა. მინდორს კმაყოფილი მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში დავტოვებ“ — ამბობს იენს იერემისი. „გუშინდელივით მახსოვს მსაჯის საფინალო სასტვენი, მიწაზე დავვარდი, ვიწექი და ცხოვრება აღარ მინდოდა. სხვებიც ამ მდგომარეობაში იყვნენ. ჰოდა, დღეს ისევ ფეხზე უნდა დავდგეთ“ — ასეთი იყო კარსტენ იანკერის კომენტარი. სხვებიც ანალოგიური განწყობით გავიდნენ მინდორზე. ვინც მატჩი ნახა, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მიუნხენელების აგრესიული დამოკიდებულება მანჩესტერელებისადმი, თუნდაც ბექჰემ-ეფენბერგის შეჯახებები გაიხსენეთ, როცა „ეფემ“ ინგლისელი სუპერვარსკვლავის გაწვდილ ხელს ზედაც არ შეხედა. გერმანელები მეტოქეს, როგორც დაუძინებელ მტერს ისე უყურებდნენ და ამას არც მალავდნენ. ამგვარმა დამოკიდებულებამ შედეგი გამოიღო. „ბაიერნმა“ მოიგო, თანაც დამსახურებულად.

„სუპერბაიერნი“, „დიდება ბაიერნს“. „თქვენ დაგვავიწყეთ 1999 წელი“ — გუშინდელ გერმანულ პრესაში მიუნხენელთა ქება-დიდებას ბოლო არ უჩანდა. ყველა სტატია „ბაიერნისთვის“ ხოტბის შესხმით იწყებოდა და მთავრდებოდა.

არადა, თამაშამდე „ბილდმა“ ორივე გუნდის თითოეული სათამაშო რგოლი შეადარა ერთმანეთს — მეკარეები თანაბარი დონისანი არიანო და ორივეს თითო ქულა ერგო. აი, დაცვა, ნახევარდაცვა და თავდასხმა მეტოქეს აშკარად უკეთესი ჰყავსო, ეწერა პოპულარულ გერმანულ გაზეთში, რომელმაც ქულებით „მანჩესტერს“ 4:1 გაამარჯვებინა. საერთოდაც, მატჩამდე აქ ბავარიელთა გამარჯვების ნაკლებად სჯეროდათ, გუნდი ცუდ ფორმაშიაო, აღნიშნავდნენ, თუმც კი რევანშს მაინც ითხოვდნენ.

„თქვენ ნამდვილი „ბაიერნი“ იხილეთ. პირველიდან ბოლო წამამდე ძალიან ყურადღებით ვითამაშეთ. ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ“ — აღნიშნა შტეფან ეფენბერგმა. აქვე ისიც სათქმელია, რომ გერმანელები იმედს სწორედ მასზე ამყარებდნენ და კაპიტანმაც, შეიძლება ითქვას, გაამართლა.

სამშაბათის თამაშს ჰიცფელდ-ფერგიუსონის ტაქტიკური კონცეფციების დაპირისპირებადაც განიხილავდნენ. თავადაც შეატყობდით, ჰიცფელდმა აშკარად აჯობა კოლეგას. გერმანელმა შეცვლებიც ჩინებულად გამოიცნო, პაულო სერჟიომ გოლი გაიტანა, ალექსანდერ ციკლერიც რიგიანად გაისარჯა.

სამშაბათის თამაშის პირდაპირი ტელერეპორტაჟის ხილვის საშუალება აქ ყველას როდი ჰქონდა. ბავარიის მიწის გარეთ, მატჩს მხოლოდ PREMIER WORLD-ი გადასცემდა, ამ არხის ცქერა გერმანელთათვის საკმაოდ ძვირ სიამოვნებად ითვლება. სახელმწიფო ტელეკომპანია RTL კი, რომელიც, სხვათა შორის, უეფას პარტნიორია და გერმანიაში ჩემპიონთა ლიგის შეხვედრების გადაცემის ექსკლუზიური უფლება აქვს, ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ცოტა მოგვიანებით 60-წუთიანი ფრაგმენტების ჩვენებით დაკმაყოფილდა. დაბოლოს, ნისლიან ალბიონზე „ბაიერნის“ ამ წარმატებამ გერმანელებს იმედი გაუღვივა, ეგებ, ეს გამარჯვება გუნდის აღმასვლის დასაწყისი გახდესო, იმ აღმასვლის დასაწყისი, რომელიც „ბაიერნს“ ჩემპიონთა თასამდე მიიყვანს.

ესეც ასე! შტეფან ეფენბერგი მანჩესტერიდან კმაყოფილი მიფრინავს

შერინგემი პირველია

ლონდონში ორიოდ დღის წინ დაბრუნებულმა გლენ ჰოდლმა „ტოტენჰემში“ ტედი შერინგემის დაბრუნება განიზრახა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 35 წლის თავდამსხმელს, რომელიც ფერგიუსონის გუნდში სწორედ „ჰოთსფურიდან“ გადავიდა 1996 წელს სამნახევარ მილიონ გირვანქად, მიმდინარე სეზონის ბოლოს კონტრაქტის ვადა უმთავრდება და ჰოდლიც სწორედ ამის იმედზეა.

არადა, შერინგემი „იუნაიტედის“ ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია და გუნდიც მძიმე მომენტშიც არაერთხელ უხსნია. თუმცა პრობლემა ისაა, რომ პრემიერლიგის ლიდერის თავკაცობა მას მხოლოდ ერთწლიან, ახალ კონტრაქტს სთავაზობს, ტედის კი ორწლიანი სურს. „ერთი თვის წინ წინასწარი საუბარი გვქონდა, მაგრამ მაშინ ვერ მოვრიგდით“ — აცხადებს ფეხბურთელის ადვოკატი ბარი ნივილი. საქმე ისაა, რომ „იუნაიტედში“ დამკვიდრებული ტრადიციით, 34 წელს გადაცილებულ მოთამაშეებს კლუბი მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს უფორმებს.

„ტოტენჰემი“ მეოთხე კლუბია, ვინც ინტერესით ადევნებს თვალყურს შერინგემს და მის გადაბირებას ცდილობს. აქამდე მსგავსი სურვილი „ვესტ ჰემმა“, „ჩარლტონმა“ და „ფულემმა“ გამოთქვეს, „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი ჰარი რედნაპი კი ამ რიგში პირველობას იჩემებს: „მე წინა სეზონის ბოლოს ველაპარაკე შერის აგენტს და ვიცი, რომ ტედი ლონდონში დაბრუნების წინააღმდეგი სულაც არაა“.

ერთ დროს შერინგემი „ტოტენჰემის“ გულშემატკივართა კერპი იყო და იურგენ კლინსმანთან ერთად ამ კლუბის შეტევას უძღვებოდა, მაგრამ თავმჯდომარე ალან შუგართან უთანხმოება მოუვიდა და მანჩესტერისკენ გასწია. წლეულს შუგარი წავიდა, მწვრთნელად გლენ ჰოდლი (ვისთანაც ნაკრებში თამაშობდა) მოვიდა და დიდი შანსია, ბოჰემური ცხოვრების ტრფიალმა ტედიმ ისევ მშობლიურ ლონდონს მიაშუროს.



გლენ ჰოდლი: ტედი შერინგემი ჩემთვის მინდა

ვინ ესროლა ფილ მიტჩელს?

ამ კითხვაზე პასუხს ბრიტანეთის კუნძულების მოსახლეობის ლამის მესამედი ელის. წინა სერია დიდი დანის ტრიალით და ერთი გასროლით დამთავრდა. ფილ მიტჩელი დაეცა და... აღელვებულ მაყურებელს მუსიკამ და ტიტრებმა სულზე მიუსწრო.

მეოთხე ათეული წელია, BBC-ის სერიალი „ისტენდერი“ ტელეეკრანებთან მილიონობით ადამიანს იზიდავს. თითოეული სერია ზუსტად საღამოს რვის ნახევარზე იწყება და 40 წუთს გრძელდება, ესე იგი, მთავრდება ცხრის ათ წუთზე. დღევანდელ, მეტად დრამატულ სერიას, როგორც ვარაუდობენ, 20 მილიონი კაცი ელის სულმოუთქმელად...

სანამ მკითხველს უფიქრია, ამდენ ფეხბურთს „სარბიელშიც“ ვერ გაუძლეს და მთლად იმასქნესო, სასწრაფოდ გეტყვით, რომ ზემოთმოყვანილი ფაქტები უშუალოდ „ბარსელონა“-„ლივერპულის“ უეფას თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩს უკავშირდება. წესით და წილისყრის დამთავრებისთანავე მიღწეული შეთანხმებით, ეს შეხვედრა თბილისის დროით ზუსტად შუაღამეს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ვინაიდან ეს ესპანური და რაც მთავარია, ბრიტანული დროით საღამოს რვა საათია, BBC-ის ხელმძღვანელობა „ბარსელონას“ თავკაცობას დაუკავშირდა — ნამეტანი საინტერესო სერია ემთხვევა და ეგებ, თქვენი მატჩი 15 წუთით გვიან დაიწყოთო. კატალონიელებმა თავაზიანი თანხმობა შეუთვალეს. წინააღმდეგი, ცხადია, არც „ლივერპული“ წასულა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ფილ მიტჩელი უბრალოდ დაიჭრა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თორემ, შესაძლოა, „კამპ ნოუზე“ წუთიერი დუმილიც გამოაცხადონ.

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

UEFA CUP

დღეს — უეფას ფასი. ნახევარფინალი. პირველი მატჩები — დღეს

ბარსელონა — ლივერპული

ბარსელონა, «კამპ ნოუ». 00.15 ჩვენი დროით

სავარაუდო შემადგენლობები

რეინა, პუიოლი, პეტი, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა, კოკუ, ოვერმარსი, ლუის ენრიკე, რივალდო, კლუივერტი

ვესტერფელდი, ბაბელი, ენჩოსი, ჰიიპია, კარაგერი, ჯერარდი, ჰამანი, მერფი, ბერგერი, ოუენი, ჰესკი

მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)



ლივერპულელი ბიჭები: მაიკლ ოუენი და სტივ ჯერარდი

გოლები იქნება! 0:0 ნული შანსია

„ბაიერნთან“ მატჩის წინ „მანჩესტერის“ თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, ჩვენთვის სეზონი ახლა იწყებაო. „ლივერპულისთვის“ სეზონი ცოტა უფრო ადრე დაიწყო, თუმცა მის მწვრთნელ ჟერარ ულიეს თუ ვერწმუნებით, მისი გუნდისთვის „ბარსელონასთან“ ნახევარფინალზე მნიშვნელოვანი მატჩი ჯერ არ ჩაუტარებია.

„ლივერპულს“ ესპანეთი ცუდად ახსოვს. ორი წლის წინ „სელტამ“ ინგლისელები ბავშვებივით აბურთავა და 4:1 მოუგო. თუმცა დრო გადის, გუნდი იცვლება. დღეს ულიეს დაცვის ბურჯად ფინელი სემი ჰიიპია და შვეიცარიელი სტეფან ენჩოსი ეგულება.

ეს „ბარსელონასთვისაც“ უმნიშვნელოვანესი თამაშია. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილ გუნდს, რომელიც პრიმერადივიზიონის ჩემპიონობასაც ძნელად თუ შეძლებს, უეფას თასის მოგება სულზე მიუსწრებს, თორემ მისთვის სეზონის შედეგები კატასტროფული აღმოჩნდება. ვფიქრობთ, თასის მოგებაზე ლაპარაკი ნაადრევი არაა, თითო-ოროლას თუ ეპარება ეჭვი, რომ თასის მომავალი მფლობელი ამ წყვილში გამარჯვებული არ იქნება.

REUTERS ბარსელონიდან

ჟერარ ულიე ბარსელონაში

მატჩისწინა განწყობა საბრძოლოა, სხვაგვარად ვერც იქნება. ფილიპ კოკუმ თქვა, „ლივერპული“ ბრწყინვალე გუნდია, მაგრამ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო. ჟერარ ულიემ აღნიშნა, საოცრება იქნება, თამაში 0:0 თუ დასრულდა, ნებისმიერ შედეგს წარმოვიდგენ, უგოლო ფრეს კი ვერაო. „ბარსელონა“ ევროპაში ყველაზე შემტევ ფეხბურთს თამაშობს, ჩვენ კი სეზონის დაწყებიდან უკვე 96 გოლი გავიტანეთ, ამიტომაც 0:0 არ იქნებაო.

„სელტა“ — „ლივერპული“ გავიხსენეთ და სტატისტიკას უფრო ჩავუღრმავდეთ. „ბარსა“ და „ლივერპული“ 1976 წელს ამავე თასის ნახევარფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს და ინგლისელებმა ორი მატჩის ჯამში 2:1 მოიგეს. მეტად ისინი აღარ შეხვედრიან. „ბარსელონა“ ბოლო ოთხ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ხუთჯერ დაუპირისპირდა ინგლისურ კლუბებს — „ნიუკასლს“, „მანჩესტერს“, „არსენალს“, „ლიდსს“ და „ჩელსის“ და „კამპ ნოუდან“ სამი ქულა არავისთვის გაუტანია. „ლივერპული“ ერთადერთი ინგლისური გუნდია, რომელსაც ბარსელონაში მოუგია, თუმცა ეს 25 წლის წინ, ზემოთ ნახსენებ ნახევარფინალში.

დღევანდელი მატჩის წინ მოხდა, „ლივერპულს“ ორგვარი პრობლემები აქვს — ფეხბურთელისთვის ტრადიციული ტრავმები და არცთუ იშვიათი განხეთქილებები.

ჟერარ ულიეს კრისტიან ციგე აჯანყებია, რადგან წინა უქმეებზე „მანჩესტერთან“ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვდა. ამის გამო გერმანელმა მცველმა პერსონალურ საინტერნეტო გვერდზე მწვრთნელის მისამართით ერთი-ორი მკვახე სიტყვა წამოისროლა, გერმანიის ნაკრებში შეუცვლელად მათამაშებენ და კლუბში რატომ არ მეკუთვნის ადგილიო.

ჟერარ ულიემ გადიდგულებულ შეგირდს მკვახედ მიახალა, ციგეს შეუძლია, გულდაწყვეტილი იყოს, მაგრამ კარგი იქნება, თუ ხმას ჩაიწყვეტსო.

ციგე ეგებ გააჩუმოს კიდეც, მაგრამ იარი ლიტმანენის ტრავმას ვერაფერს მოუხერხებს. ახალ წლამდე ჯერ კიდევ ბარსელონელი ფინელისთვის სეზონი უკვე დასრულდა. ლიტმანენის ტრავმაზე ადრეც ვწერდით (ფინეთი — ინგლისის მატჩის დროს დაშავდა), ახლა კი ულიემ თქვა, მინიმუმ სამ კვირას ვარჯიშსაც ვერ შეძლებსო.

„მანჩესტერთან“ შეხვედრის დროს დაშავდა სტივენ ჯერარდი, მყესები დაიზიანა, თუმცა მწვრთნელს მისი დროულად მომჯობინების იმედი არ დაუკარგავს და სავარაუდო შემადგენლობაშიც მოიხსენია.

„ბარსელონას“ თავის ტკივილი მისი დაცვაა. აბელარდოს ტრავმას მიხაელ რაიციგერის ნატკენი ფეხიც დაემატა და ლორენს სერა ფერერს ასარჩევად გაუხადა საქმე — ვინ გაამწესოს მცველთა დასახმარებლად, ფილიპ კოკუ თუ ემანუელ პეტი? ალბათ, უფრო პეტი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მწვრთნელი მატჩის წინ მიიღებს.

გიორგი დარჯანია

ალავესი — კაიზერსლაუტერნი

ვიტორია, «მენდისოროსა». 23.30 ჩვენი დროით

სავარაუდო შემადგენლობები

ერერა, კონტრა, ეგენი, ტელიესი, ჯელი, ტომიჩი, პაბლო, დესიო, იბონ ბეგონია, კრუიფი, ივან ალონსო

გ. კოხი, ბასლერი, რამზი, ჰ. კოხი, რატინიო, პეტერსონი, ხრისტოვი, გრამოცისი, შტრასერი, კლოზე, ლოკვენცი

მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

კონტრასტი კონტრასთვის

გერმანელები ქართველების მერე

ვიტორიაში სვლერათ, რომ ფეხბურთში ყველაფერია შესაძლებელი. აი, მათ პატარა „ალავესს“ ჯერ კიდევ გუშინ არავინ იცნობდა, დღეს კი— უეფას თასის დებიუტანტი ამ ტურნირის ნახევარფინალშია. გზად მრისხანე „ინტერიც“ დაამარცხა და ახლა მთავარ ჯილდომდეც ერთი ხელის გაწვდენაა.

თუმცა გადამწყვეტ მატჩამდე ჯერ გერმანულ „კაიზერსლაუტერნს“ უნდა გაუსწორდეს. დღეს პირველი მატჩია.

„როცა ფავორიტად გთვლიან, ორმაგად ძნელია თამაში. შესაძლოა, თავშიც აგივარდეს და მოდუნდე — ამბობს ალავესელთა იუგოსლავიელი ნახევარმცველი ივან ტომიჩი, ვინც სტუმრად „ინტერს“ მეორე გოლი გაუტანა — მთავარია, მოვიგოთ, თუნდაც 1:0, მერე კი გერმანიაში მიდწეულის შენარჩუნებაზე ვიფიქროთ. „კაიზერსლაუტერნი“ ძლიერია ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც. ძალიან გაგვიჭირდება“.

ივან ტომიჩი და ხორდი კრუიფი

მასპინძლებმა ჯერჯერობით არ იციან, შეძლებს თუ არა თამაშს დაშავებული მეგოლე ხავი მორენო. ეს კაცი ბასკთათვის დიდი ძალაა, ესპანეთის ჩემპიონატში 18 ბურთი გაიტანა და ბომბარდირთა დავას ლიდერობს. მას 17 გოლით კუდში ბარსელონელი რივალდო მისდევს, ხოლო მესამე ადგილზე რეალელი რაულია (16).

ასეთი ხალხის წინ დგომა, ცხადია, მორენოს მაღალ ოსტატობაზე მიუნიშნებს: „ვნახოთ, დროს ნუ დავასწრებთ. ყველას გაგვიხარდება, თუ ხავი ხუთშაბათს ითამაშებს, მაგრამ დღეს დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ბოლომდე მოიშუშა თუ არა ტრავმა“ — განაცხადა გუშინ კლუბის ექიმმა ხუან ლუის სუნსუნეგიმ.

„კაიზერსლაუტერნმა“ ბუნდესლიგის ბოლო ტურში შინ „დორტმუნდთან“ 1:4 წააგო და მესამედან მეექვსე ადგილზე დაქვეითდა, თუმცა ლიდერ „ბაიერნს“ მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

„გოლებიანი ფრე ჩვენთვის ცუდი შედეგი არ იქნებოდა — ამბობს „ლაუტერნის“ მწვრთნელი ანდრეას ბრემე — „ალავესის“ შეუფასებლობა არაფრით შეიძლება.

როცა გუნდი ნახევარფინალში გადის, თანაც გათამაშებიდან „ინტერს“ აგდებს, სუსტი ვერაფრით იქნება“.

უცნობია, ითამაშებს თუ არა იური ჯორკაეფი. აი, ფრანგის კომენტარი კი მეტად საინტერესოა. ჯორკაეფი ამბობს, „კაიზერსლაუტერნს“ ბოლო 20 წელიწადს ასეთი მნიშვნელოვანი მატჩი აღარ ჰქონიაო...

ასევე ტრავმირებულია მცველი ანდრეას ბუკი. სამაგიეროდ, მუხლის იარა მოიშუშა ჰარი კოზმა. გერმანელებს მიაჩნიათ, რომ „ალავესის“ დაცვას განსაკუთრებით მიროსლავ კლოზესი უნდა ეშინოდეს, რომელიც ახლა შესანიშნავ ფორმაშია და ეროვნული გუნდის ბოლო ორ მატჩში ალბანეთთან და გერმანიასთან თითო ბურთი შეაგდო. საინტერესოა, რომ კლოზე თავის პირველ შეხვედრებს ატარებდა ბუნდესნაკრებში.

და კიდევ, დღეს მინდორზე ორი ისეთი კაცი გავა, წინა ოთხშაბათს ჩვენი ეროვნულის ბალახს რომ თელავდნენ. „ალავესის“ მცველი, ქართველთა კარში მეორე გოლის გაჩეტანი რუმინელი კოზმინ კონტრა და ნორვეგიელი მსაჯი რუნე პედერსენი...

სოლოგვონ გულისაფვილი

კაიზერსლაუტერნელებმა „მენდისოროსაზე“ ივარჯიშეს

Sydney 2000 ავთოს თვალით

ყოჩაღ, კოლეგა!



გია ახალაძის ფოტო

ავთანდილ გურასაშვილი

გუშინ, გაზაფხულის გაბმული წვიმის მიუხედავად, რუსთაველზე TMS-ის გალერეაში ფოტოხელოვნების მრავალმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი. თბილისის ამ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საგამოფენო დარბაზში მორიგი ფოტოექსპოზიცია გაიხსნა — „სიდნეი 2000“, რომლის თემაა ქართველ სპორტსმენთა გამოსვლა ათასწლეულის ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე. გამოფენის ორგანიზატორია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ხოლო შინაარსითაც და ხარისხითაც შესანიშნავი ნამუშევრების ავტორი ცნობილი ჟურნალისტი ავთანდილ გურასაშვილი გახლავთ. ბატონი ავთანდილი ავსტრალიაში მივლინებული იყო, როგორც გაზეთ „სარბიელისა“ და ჟურნალ „ოლიმპიელის“ სპეციალური კორესპონდენტი. გალერეაში წარმოდგენილია 70 ფერადი ფოტო, რაც მხოლოდ მცირედი ნაწილია იმისა, ხელოვანმა ორი კვირის მანძილზე რომ გადაიღო. ფირზე კი მართლაც ყველაფერი აღუბეჭდავს — ოლიმპიადის საზეიმო გახსნა, ჩვენი მედალოსანი ათლეტების გამარჯვება და სიდნეის ხედებიც, არც მწვანე კონტინენტის ეგზოტიკური ცხოველ-ფრინველი გამორჩენია.

ცხადია, სასიამოვნოა ვრცელ, განათებულ დარბაზში პრეზენტაციაზე დასწრება: ნაცნობი, გაღიმებული სახეები, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენელთა საქმიანი ფუსფუსი, თბილი სიტყვები დღის გმირის მიმართ. მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ახლობელმა თუ იცის, ამ საქმეს ორგანიზებას რამდენი წვალება და ნერვიულობა ახლავს, უამრავი წვრილმანის მოგვარებიდან დაწყებული საზეიმო გახსნის წუთამდე. ავთომ ერთი-ორჯერ ლამის ხელიც ჩაიქნია, ვერ მოვასწრებო. საგამოფენო სალონს ხომ მხოლოდ რამდენიმე დღით დაგითმობენ, ისიც წინასწარ დათქმულ ვადაში.

საბედნიეროდ, ყველაფერი მოესწრო. გახსნაც ლამაზი, საზეიმო ვითარების შესატყვისი გამოვიდა. სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა საქები სიტყვები არ დაიშურა ექსპოზიციის ავტორის მისამართით, თუმცა ეს ქათინაური კი არ იყო, არამედ ავთანდილ გურასაშვილის ოსტატობის ობიექტური, რეალური შეფასება, რისი დასტურიც იქვე ლამაზ ჩარჩოებში იყო გამოფენილი. ფოტოების ხარისხით მოხიბლული დარჩა სეოკ-ის სტუმარი, პოლონეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი იანუშ ტატერაც. გამოფენა ინტერესით დათვალიერეს ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკეებმა — ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა ალექსანდრიამ, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა, სეოკ-ის ვიცეპრეზიდენტმა თამაზ იმნაიშვილმა და გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორმა ომარ გოგიაშვილმა.

ბატონი ავთანდილი 30 წელია, რაც სპორტულ ჟურნალისტიკას ემსახურება. მისი პირველი ფოტო გაზეთ „ლელოში“ დაიბეჭდა, როცა ავტორი 16 წლისა იყო. წლების მანძილზე „ლელოს“ ერთ-ერთი წამყვანი რეპორტიორი გახლდათ, ბოლო წლებში კი „სარბიელში“ თანამშრომლობს. არაერთ ეროვნულ თუ უცხოეთის ფოტოკონკურსში მიუღია მონაწილეობა და ათამდე პრიზიც მოუპოვებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ახალაძის ფოტო

სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი, ავთანდილ გურასაშვილი და პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი იანუშ ტატერა

„სიდნეი 2000“ მისი მეორე პერსონალური გამოფენაა. მანამდე იყო ასევე ოლიმპიური თემატიკის „ნაგანო-98“. იმედია, სამი წლის შემდეგ ჩვენი გამოცდილი კოლეგის ახალ ნამუშევრებთან შეხვედრა გველის, როცა 2004 წლის ათენის ოლიმპიადიდან დაბრუნდება.

გია ახალაძე

გამოფენის პირველი სტუმრები: სპორტის აკადემიის რექტორი ომარ გოგიაშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი

გია ახალაძის ფოტოები

გამოფენამ ახალგაზრდებიც დააინტერესა

ავთანდილ გურასაშვილის სიდნეური რეპორტაჟი







ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ჯერი ჯორდანზე მაღლა



AP ჩიკაგოდან

ჩიკაგო — დეტროიტი. ჯერი სტეკჰაუზმა ჩიკაგოელებს 57 ქულა ჩაუგდო

3 აპრილი

ნიუ ჯერსი 88:103 შარლოტი

ნიუ ჯერსი: ოვერტონი (3), ჰარისი (12 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ნიუმენი (26), ვან ჰორნი (25), ეშმეიერი (4 ქულა, 12 მოხსნა); სტრიკლენდი (9), გილი (5), ვილიამსი (2), ჯეკსონი (2), სტეშანიკ (3 წუთი, 0 ქულა, 1 მოხსნა), სამაკე

შარლოტი: ვესლი (3), დევისი (17), მაშბურნი (31), ბრაუნი (19 ქულა, 12 მოხსნა), კემბელი (11); რობინსონი (12), ჯულმენი (4), მალუა (4), რეკასნერი (2), ჰოკინსი, ჯეიმსი

„ნიუ ჯერსი ნეთსმა" მორიგი შეხვედრა დათმო, მის ქართველ ცენტრს ვლადიმერ სტეფანიას კი მოედანზე გასვლა ეღირსა, მხოლოდ სიმბოლურად, სამი წუთით. ამ ხნის განმავლობაში ვოვამ ერთი სროლა ააცილა და ერთხელაც საკუთარ ფარზე ასხლეტილი ბურთი მოხსნა.

„ნიუ ჯესიმ" 51-ე თამაში წააგო და ეს სავსებით მოსალოდნელიც იყო. ტრამებით შეჭირვებულ „ბადეებს" აღარც ხეირიანი შემადგენლობა შერჩენიათ და აღარც მიზანი, რისთვისაც თავის გამოდება ღირს. „შარლოტი" კი ღონიერი გუნდია, რომელიც აღმოსავლეთში რაც შეიძლება მაღალი ადგილის მოსაპოვებლად იბრძვის და მოგებები სჭირდება.

„ნიუ ჯერსი" მაინც უწევდა გარკვეულ წინააღმდეგობას ერთი თავით მაღლა მდგომ მეტოქეს და ბოლო მეოთხედის დასაწყისში, როდესაც მასპინძელმა ევან ეშმეიერმა კაუჭი ჩააგდო და სხვაობა ოთხ ქულამდე დაიყვანა — 74:78, მასპინძლებს გამარჯვების იმედიც მიეცათ, თუმც შარლოტელმა „კრაზანებმა" რაწამს შეატყვეს, მეტოქე სახიფათოდ დაგვიახლოვდაო, მაშინვე მწარედ „დაკბინეს".

იუტა 88:96 ლეიკერსი

იუტა: მელოუნი (31 ქულა, 14 მოხსნა), სტოქტონი (19)

ლეიკერსი: ონილი (31 ქულა, 11 მოხსნა), ჰორი (20), ფიშერი (17)

დენვერი 94:92 პორტლენდი

დენვერი: ჰეკი (26), მაკლაუდი (20), ვილისი (19 ქულა, 18 მოხსნა)

პორტლენდი: სტუდემაიერი (17)

საკრამენტო 101:107 მილუოკი

საკრამენტო: ვებერი (28 ქულა, 11 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (23), კრისტი (19 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

მილუოკი: კასელი (33), ალენი (20), რობინსონი (18 ქულა, 11 მოხსნა)

სან ანტონიო 107:89 სიეტლი

სან ანტონიო: დანკანი (30 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება), ანდერსონი (16)

სიეტლი: ჰეიტონი (23 ქულა, 10 პასი), ლუისი (23)

ჩიკაგო 83:110 დეტროიტი

ჩიკაგო: კროუფორდი (17)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (57)

ტორონტო 100:85 ფილადელფია

ტორონტო: კარტერი (26)

ფილადელფია: აივერსონი (18)

მაიამი 77:82 ბოსტონი

მაიამი: მეისონი (16)

ბოსტონი: პირსი (33), უოლკერი (20)

ინდიანა 85:81 ფინიქსი

ინდიანა: როუზი (18), ბესტი (18)

ფინიქსი: მარიონი (20 ქულა, 11 მოხსნა)

ჰიუსტონი 97:109 დალასი

ჰიუსტონი: მობლი (28), ტეილორი (16), ოლაჯუუონი (15)

დალასი: ფინლი (27), ჰოვარდი (23)

ნიუ იორკი 94:82 ორლანდო

ნიუ იორკი: კემბი (23 ქულა, 20 მოხსნა)

ორლანდო: მილერი (27)

„დეტროიტ პისტონზის" მსროლელმა ჯერი სტეკჰაუზმა მაიკლ ჯორდანს აჯობა. აბა, სად ჯორდანი და სად სტეკჰაუზიო, გაიკვირვებს მკითხველი, თან დიადი მაიკლი რა ხანია, კალათბურთის თამაშს გამოეთხოვაო. დიახ, ჯორდანი მესამე წელია, წავიდა, მაგრამ დატოვა რეკორდები, რომლებსაც სტეკჰაუზი ამხობს. „ჩიკაგო" — „დეტროიტის" შეხვედრას ბევრი არავინ მიაქცევდა ყურადღებას, სტეკჰაუზს თავი რომ არ გაეგიყებინა და საცოდავი „ჩიკაგოსთვის" 57 ქულა არ ჩაეგდო, ეს კი მრავლისმნახველი დარბაზის „იუნაიტედ სენთერის" რეკორდია და ოთხი ქულით მეტია ჯორდანის მიერ 1996 წელს დამყარებულზე. 57 ქულა მარტო დარბაზის საუკეთესო შედეგი რომ ია. იგი წლევანდელი სეზონის რეკორდიცაა, სამი ქულით მეტია ფილადელფიელი ალენ აივერსონის შედეგზე და გარდა ამისა, თავად კლუბის — „დეტროიტ პისტონზის" ყველა დროის საუკეთესო მიღწევაც გახლავთ. თავისთავად ცხადია, 57 ქულა თავად ჯერით სტეკჰაუზმაც კარიერაში პირველად დაგროვა. ამდენი რეკორდის წვიმაში რაღა გასაკვირია, რომ „დეტროიტმა" მოიგო და ასევე რეკორდს შეხვდა, მიმდინარე სეზონში პირველად იმარჯვა ზედიზედ მესამედ.

57 ქულა ყოველდღე არ კეთდება, მაგრამ სტეკჰაუზის გაბრწინებამ მაინც ვერ დაჩრდილა დასავლეთ კონფერენციაში მიმდინარე საპლეიოფო ჭიდილი. მესამეადგილოსანმა „იუტამ" შინ წააგო ჩემპიონ „ლეიკერსთან". ეს გახლდათ დაძაბული და ამავდროულად ბინძური შეხვედრა. გუნდების ლიდერებმა — კარლ მელოუნმა და შაკილ ონილმა გარდა იმისა, რომ მშვენივარდ ითამაშეს და 31-31 ქულაც მოინაგრეს, ერთმანეთს და სხვებს ბლომად მუჯლუგუნები უთავაზეს. მაგალითად, შაკილმა მასპინძელთა ბებერ გამთამაშებელ ჯონ სტოქტონს იდაყვი ვითომ შემთხვევით გაჰკრა და იატაკზე გაშხლართა, რისთვისაც ერთ-ერთი თავგამოდებული ქომაგისგან სახეში ყინულის ნატეხი მიიღო. შემდეგ შაკმა სტოქტონის ძმაკაც კარლ მელოუნსაც უთავაზა, მოგვიანებით კი მელოუნმა მას და კიდევ ერთ ლეიკერსელ რობერტ ჰორის. მსაჯებმა საკალათბურთო ყვითელი ბარათები, ტექნიკურები არ დაინანეს და მასპინძელთა მსროლელი ჯონ სტარქსი გააფრთხილეს, მწვრთნელი ჯერი სლოუნი კი გააძევეს. გამარჯვება „ლეიკერსს" დარჩა.

არც დენვერული შეხვედრა გამოირჩეოდა დიდი სინატიფით. მასპინძლები და სტუმარი პორტლენდელები ერთმანეთს მუშტებით არ დარევიან, თორემ ყველაფერს კადრულობდნენ. „პორტლენდს" აკლდა მთავარი მოჩხუბარი რაშიდ ვოლესი, რომელიც კლუბს ურჩობისთვის დაუსჯია, მაგრამ სტუმრებმა მაინც მიიღეს სამი ტექნიკური — პიპენმა (14 ქულა) და ორი — ველსმა (12 ქულა). მათ არც მასპინძლები ჩამორჩნენ და თავისი წილი სამი ტექნიკური მათაც ერგოთ. მოგებით კი „დენვერმა" მოიგო, რომელსაც მართალია, ორი ლიდერი — ნიკ ვან ექსელი და ანტონიო მაკდაიესი აკლდა, მაგრამ ეს დუეტი რობერტ პეკისა და 1988 წელს თბილისში ნამყოფი კევინ ვილისის წყვილმა ერთობ წარმატებით შეცვალა. „პორტლენდი" კი ამ წაგებამ დასავლეთში მეექვსე ადგილამდე დააქვეითა.

„პორტლენდის" მარცხით ისარგებლა და მეხუთე ადგილზე მოკალათდა ამ სეზონში წამოჩიტული „დალასი", რომელმაც ტეხასურ დერბიში „ჰიუსტონი" იმსხვერპლა და საბოლოოდაც დათმობინა საპლეიოფო ამბიციები.

„ჰიუსტონთან" ერთად მარცხი კიდევ ერთმა პლეი ოფზე მეოცნებემ, „სიეტლმა" იწვნია, რომელსაც ლიგის საუკეთესო გუნდ „სან ანტონიოსთან" ჭიდილში ბებერი ცენტრი პატრიკ იუინგი აკლდა.

დასავლელი მეორეადგილოსანი „საკრამენტო" მისსავე მოედანზე წააქცია აღმოსავლეთის მეორე გუნდმა „მილუოკიმ", რომლის გამთამაშებელმა სემ კასელმა მასპინძლებს შეხვედრის ბოლო წუთნახევარში ექვსი ქულა ჩაუგდო.

არც აღმოსავლეთი პასიურობს. აქ მერვე ადგილისთვის მებრძოლმა „ბოსტონმა" და „ინდიანამ" ლამის დაჭამონ ერთმანეთი და სხვა მეტოქეები. „ბოსტონი" ღონიერ „მაიამის" სტუმრობდა და მოიგო მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მეოთხედში 12 ქულით აგებდა. ივაჟკაცა მარტის საუკეთესო მოთამაშემ პოლ პირსმა, რომელმაც 33 ქულიდან 14 ბოლო მეოთხედში ჩაუგდო მასპინძლებს.

არც „ინდიანა პეისერზი" აღმოჩნდა ჯაბანი და ზედიზედ შვიდი მატჩის მომგებ „ფინიქს სანზს" შინ გაუსწორდა.

ირაკლი ფირაზვილი

კვირის მოთამაშე

ჯეისონ კიდი • ფინიქსი •



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ „ფინიქს სანზის" 193-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი ჯეისონ კიდი დაასახელეს. მან წინა კვირაში ფინიქსელ „მზეებს" ოთხივე შეხვედრა მოაგებინა, რითაც ფაქტობრივად პლეი ოფში მოხვედრა დაუბევა. კიდი, შეიძლება ითქვას, მთელ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ერთადერთი თეთრი მოთამაშეა (თუ გვარიანად მობერებულ ჯონ სტოქტონს არ ჩავთვლით), რომელიც ზანგებს ტოლს არაფერში უდებს. იგი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელიც გახლავთ და არაა გამორიცხული, სეზონის ბოლოს ნბა-ს პირველ სიმბოლურ ხუთეულშიც დაასახელონ.

კიდი ლიგის პირველი მეპასეა, შეტევათა ორგანიზატორი უფროა, ვიდრე დამაგვირგვინებელი, ამიტომ მისი შედეგიანობა მატჩში საბოლოოდ 17 ქულას არ აღემატება, გასულ კვირას კი კიდმა ქულებიც დიდი ოდენობით მოიხვეჭა და კვირის ბოლოს რჩეული რომ გახდა, არავის გაჰკვირვებია. სულ კიდს ოთხ თამაშში საშუალოდ მოუგროვდა 31,0 ქულა, 8,8 პასი, 5,0 მოხსნა და 4,3 ჩაჭრა.

„ფინიქსისთვის" და მისი ლიდერისთვის კვირა ორშაბათს ჩემპიონი „ლეიკერსის" შინ 104:83 განადგურებით დაიწყო. გამარჯვების სულისჩამდგმელი, ცხადია, კიდი გახლდათ 22 ქულით, 11 მოხსნით და 9 პასით. მას სულ ერთი პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

ჩემპიონის წაქცევიდან ორი დღის შემდეგ „ფინიქსმა" კიდის 29 ქულის და 10 პასის შემწეობით შინ „კლივლენდი" 103:94 დაამარცხა, რასაც „ჰიუსტონთან" მძიმე გასვლითი მატჩის მოჰყვა. „ფინიქსმა" ბოლო წუთებზეა გატეხა მებრძოლი მეტოქე და 90:85 იძალა. კიდმა ბოლო მეოთხედში 18 ქულა გაუხერხა თავისიანებს, სულ შეხვედრაში კი კარიერაში სარეკორდო, 43 ქულა მოიხვეჭა.

კვირა „მზეებმა" „მილუოკის" 106:99 დამარცხებით დაასრულეს. აქ კიდის მონაგარმა 30 ქულა და 12 პასი შეადგინა.

კვირის სხვა გამორჩეული მოთამაშეები იყვნენ — დალასელი დირკ ნოვიცკი, სანანტონიოელი ტიმ დანკანი, მაიამელი ტიმ ჰარდეკი, ფილადელფიელი ტაირონ ჰილი და კლიპერსელი ლამარ ოდომი.

მარტის საუკეთესო

პოლ პირსი • ბოსტონი •



მარტის საუკეთესო მოთამაშის ტიტული არავის დაანება „ბოსტონ სელტიქსის" 201-სანტიმეტრიანმა მსროლელ-ფრთამ პოლ პირსმა, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტებად არაერთი ძლიერი მოთამაშე ჰყავდა. პირსი კარგი მექულეა, გასულ თვეში კი სულ გადაირია, რვაჯერ შესწვდა 30-ქულიან თამასას, ოთხჯერაც ოთხ ათეულ ქულაზე მეტი მოიხვეჭა და სულ მარტის თამაშებში საშუალოდ 30,3 ქულა მოაგროვა.

პოლ პირსმა ზედიზედ ორ თამაშში, 13 და 15 მარტს გააკეთა კარიერაში სარეკორდო — 42 ქულა და პირველი ბოსტონელი შეიქნა, ვინც ბოლო თოთხმეტ წელიწადში ზედიზედ ორჯერ გაახერხა 40 ქულა და მეტი. ბოლო ბოსტონელი, ვინც ეს გააკეთა, ლარი ბერდი გახლდათ. პოლ პირსი ამასაც არ დასჯერდა და 22 მარტს „ნიუ ჯერსისთან" შეხვედრაში 44 ქულას მოუყარა თავი და პირადი რეკორდი ორი ქულით გააუმჯობესა.

პოლ პირსის უხვქულიანობა „ბოსტონსაც" დაეტყო. „სელტიქსი" აღმოსავლეთში მერვეადგილოსან „ინდიანას" წამოეწია და მას პლეი ოფის ბოლო საგზურს ეცილება.

პოლ პირსს თვის მოთამაშის ტიტულში ამაოდ ეცილებოდნენ: დირკ ნოვიცკი (დალასი), სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი), ლამარ ოდომი (კლიპერსი), ენტონი მეისონი (მაიამი), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო), აარონ მაკკი (ფილადელფია), ჯეისონ კიდი (ფინიქსი), კრის ვებერი (საკრამენტო), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), გერი პეიტონი (სიეტლი), ვინს კარტერი (ტორონტო) და რიჩარდ ჰამილტონი (ვაშინგტონი)

მარტის საუკეთესო მწვრთნელის წოდება დაისაკუთრა „სან ანტონიო სფურზის" დამრიგებელმა გრეგ პოპოვიჩმა, რომელმაც მარტში თავის შეგირდებს 17 თამაშიდან 14 მოაგებინა, რის შემდეგაც „სფურზმა" დაამხო ლიგაში „ფილადელფიას" პირველობა და დანარჩენ 28 გუნდზე აღზევდა.

თვის ახალბედას ტიტული შუაზე გაიყვეს ნიუჯერსელმა კენიონ მარტინმა და ორლანდოელმა მაიკ მილერმა. მართალია, პირველმა ოდენ ათ შეხვედრაში ითამაშა, მაგრამ ერთ-ერთში 18 ქულა, 15 მოხსნა და 11 პასი გააკეთა და ახალბედებში პირველმა სამმაგი დუბლი შეასრულა, მეორემ კი მატჩში საშუალოდ 16,6 ქულა და 4,6 მოხსნა მოინაგრა.

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
ფილადელფია*	51	23	68,9
ნიუ იორკი*	44	30	59,5
მაიამი*	43	30	58,9
ორლანდო	40	34	54,1
ბოსტონი	34	40	45,9
ნიუ ჯერსი	26	51	33,8
ვაშინგტონი	18	55	24,7

ცენტრალური დივიზიონი

მილუოკი*	47	27	63,5
შარლოტი*	42	32	56,8
ტორონტო	41	33	55,4
ინდიანა	34	40	45,9
დეტროიტი	28	46	37,8
კლივლენდი	26	47	35,6
ატლანტა	23	51	31,1
ჩიკაგო	12	61	16,4

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

სან ანტონიო*	52	22	70,3
იუტა*	49	25	66,2
დალასი*	48	26	64,9
მინესოტა	43	30	58,9
ჰიუსტონი	40	35	53,3
დენვერი	36	39	48,0
ვანკუვერი	21	53	28,4

წყნარი ოკეანის დივიზიონი

საკრამენტო*	49	24	67,1
ლეიკერსი*	49	26	65,3
პორტლენდი	47	27	63,5
ფინიქსი	45	28	61,6
სიეტლი	41	35	53,9
კლიპერსი	27	47	36,5
გოლდენ სტეიტი	17	56	23,3

* — გავიდა პლეი ოფში

კალათბურთი

კადეტებმა მოგებით დაიწყეს

საქართველო 79:58 პოლონეთი

გუშინ საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სლოვაკეთში მიმდინარე ტურნირის პირველ დღეს ქართველებმა 79:58 მოუგეს პოლონელებს. დღეს ჩვენი კადეტები დაუპირისპირდებიან იტალიას, რომელმაც გუშინ საფრანგეთთან 16 ქულით წააგო.

წესი წესია!

ბასკო კანონთანაც პირმართალია და კლუბებთანაც

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის დებულების თანახმად, ჩვენი ქვეყნის კლუბებს მოთამაშეთა დამატება 28 თებერვლამდე შეეძლოთ. ეს გახლდათ ბოლო ვადა, რომლის გადაცილების შემთხვევაში ქართული კალათბურთის მმართველი ორგანო ვერც ერთ კალათბურთელზე ვეღარ გასცემდა ლიცენზიას. ამიტომ, ვისაც ახალი მოთამაშის შემატების სურვილი ჰქონდა, ფედერაციის მიერ წინასწარ დადგენილ ვადებში უნდა ჩატეულიყო.

მოგვიანებით, მარტის შუა რიცხვებში, ცნობილი გახდა, რომ ქვეყნის ჩემპიონი ბათუმის „ბასკო" რუს სერგეი დროჟანოვს იმატებდა, რამაც ჩემპიონობისთვის „ბასკოს" მოცილე კლუბებს ერთი შეხედვით სამართლიანი ეჭვი აღუძრა — ჰქონდათ კი ბათუმელებს ამის უფლება? ხომ არ ირღვეოდა დებულების ის პუნქტი სადაც წერია, რომ სატრანსფერო სეზონის ბოლო ვადა 28 თებერვალია?

დავა-კამათი კარგა ხანს გაგრძელდა, ამასობაში „ბასკომ" დროჟანოვი ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგაშიც დაიხმარა და ეროვნულ ჩემპიონატშიც ათამაშა, მითქმა-მოთქმა კი არ ცხრებოდა.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით ფედერაციის გენერალურ მდივან აკაკი მეგრელაძეს დავუკავშირდით. „26 თებერვალს კალათბურთის ფედერაციაში წერილი მივიღეთ. ეს გახლდათ სერგეი დროჟანოვის ყოფილი კლუბიდან განთავისუფლების ფურცელი, რასაც ხელს რუსეთის კალათბურთის ფედერაცია აწერდა. იმავე დღეს დროჟანოვის სახელზე პირადად გავეცი საქართველოს ჩემპიონატში სამონაწილეო ლიცენზია №208 და ეს კალათბურთელი „ბასკოში" ჩაირიცხა. ასე რომ, დროჟანოვის ბათუმურ კლუბში თამაში კანონიერია, რადგან ზედმიწევნით არის დაცული დებულების თითოეული პუნქტი. ასე რომ არ ყოფილიყო, დროჟანოვი ვერც ჩრდილოური ლიგის მატჩებში მიიღებდა მონაწილეობას" — გვითხრა მეგრელაძემ.

გიორგი გიქაშვილი

ევროლიგა

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

მესამე მატჩი. 3 აპრილი

ფორტიტუდო 70:74 კინდერი

ფორტიტუდო: ოტრი, ფუჩკა (14), დე პოლი, მაიერსი (20), ბაზილე (6), ბოუი (3), ეფთხაუსკასი (9), გალანდა (4), მენეგინი (14)

კინდერი: ჯინობილი (17), აბიო (5), ბონორა, იესტრატიევიჩი, ფროზინი (9), ანდერსენი (2), რიგოდო (14), გრიფიტი (17), სმოდიში (2), იარიჩი (8)

კინდერმა 3:0 მოიგო სერია და გავიდა ფინალში

ფორტიტუდო — კინდერი. რაშარდ გრიფიტმა ფორტიტუდოელთა ფარზე გაილაღა

ველორბოლა

კატალონიის კვირეული

მიკაელ ბოგერდი

ჰოლანდიელებს კატალონია უყვართ

ალბათ, მართლაც უყვართ ჰოლანდიელებს კატალონია. „ბარსელონაში" იოჰან კრუიფიდან მოყოლებული ტიტების ქვეყნის უამრავი ფეხბურთელი გამოსულა. ერთი პირობა „ბარსა" ლამის ჰოლანდიის ნაკრებიც იყო...

ახლა კი ველომრბოლთა ტურნირი, რომელიც გასულ კვირას გაიმართა და „კატალონიის კვირეული" ეწოდება, ჰოლანდიელი მიკაელ ბოგერდის გამარჯვებით დასრულდა. რაბობანკელს აქ 1998 წელსაც უპირველია, ასე რომ, სათაურის ფრაზა, ალბათ, სიმართლეს შეეფერება.

პირველი ეტაპი ესპანელი ანხელ ედოსი იყო. პორტუგალიური „მაიას" წევრმა ფინალურ სპრინტში იტალიელებს — დენის ძანეტეს და შარშანდელი „ჯიროს" ჩემპიონ სტეფანო გარძელის აჯობა.

„დაწინაურებულ ჯგუფში ექვსი თანაგუნდელი ვიყავით. როცა ვნახეთ, რომ ერიკ ზაბელი ჩამოგვრჩა, სპრინტის მზადება დავიწყეთ. ვიცოდი, თუ მთას გადავივლიდი, წარმატების კარგი შანსი მქონდა" — თქვა ედომ ფინიშის შემდეგ.

მთა კი პირველი კატეგორიის სიძნელის იყო და ალტ დე სანტ გრაუ ერქვა. აღმართის დაწყებისთანავე 1998 წლის „ჯიროსა" და „ტურის" ჩემპიონმა მარკო პანტანიმ შეტევა წამოიწყო. ამან პელოტონი დაანაწევრა. ამერიკელი ლენს არმსტრონგი თავის მეტოქეს იოლად მიჰყვა, გერმანელი იან ულრიხი და ესპანელი რობერტო ერასი კი ჩამორჩნენ. მწვერვალზე ბოგერდმა სცადა ბედი, მაგრამ სხვებს ვერ დაუსხლტა და საბოლოოდ ედომ იხეირა.

სამშაბათს მეორე ეტაპი რუსმა სერგეი სმეტანინმა მოიგო, ლიდერის ყვითელი მაისურა კი ედომ დაინარჩუნა. სმეტანმა სამ თანამოიერიშეს — კარლოს ტორენსს, ელიო აჯიანოსა და გერმან ნიეტოს აჯობა. გზის ბოლოს ორი მთა იყო, ერთ-ერთი პირველი კატეგორიის სიძნელისა, მაგრამ ეტაპის ბედი მათ ვერ გადაწყვიტეს.

ზემოთ ჩამოთვლილმა ოთხეულმა და ანტონიო კოლომმა იერიში მე-4 კილომეტრზე მიიტანეს და ერთი ხანობა 17 წუთითაც დაწინაურდნენ. კოლომი ბოლოს კი ჩამორჩა, მაგრამ დანარჩენებმა პელოტონს 2 წუთი მაინც მოუგეს. „ვიცოდით, აღმართებამდე უპირატესობის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევა არ დაგვჭირდებოდა. დაღმართზე კი ტემპი გავზარდეთ. კარლოსს ვუთხარი (თანაგუნდელები არიან — გ.გ.), რომ ორივეს ცალ-ცალკე უნდა შეგვეტია. ასეც მოვიქეცით. დღეს მე უფრო გამიმართლა" — განაცხადა სმეტანინმა, რომელიც „ყაზტელის" ღირსებას იცავს.

ძლიერთაგან ყველამ სიმშვიდე შეინარჩუნა. ერთი ბოგერდმა სცადა კონტრშეტევა, მაგრამ ამაოდ. ულრიხი კი კარგი ფორმიდან ჯერჯერობით შორს არის, რადგან 7 წუთი დათმო და ფინიში მძიმედ მსუნთქავმა გადაკვეთა.

მესამე ეტაპი ესპანელი აიტორ სილონისის ბენეფისი გამოდგა. ესკალტელელი პელოტონს დაახლოებით 30-ე კილომეტრზე გაექცა და 173 კილომეტრი ეულად იქროლა. თანაც მეორე ადგილზე გასულ ხოსე მანუელ ვასკესს 6 წუთი და 39 წამი, დანარჩენებს კი 7 წუთზე მეტი მოუგო.

„კატალონიის კვირეულის" ბედი ხუთშაბათს გადაწყდა. ფინალურმა აღმართმა ფავორიტებს საერთო ჩათვლაში დაწინაურების შესაძლებლობა მისცა. პირველი კატეგორიის სიძნელის მთის ძირშივე ბოგერდის რაბობანკელებმა სიჩქარეს უმატეს, რამაც პელოტონის დანაწევრება გამოიწვია. დაახლოებით 20-კილომეტრიან, 7-პროცენტიანი დახრილობის გზაზე მთიელებმა გაილაღეს და დანარჩენები ძლიერ ჩამოიტოვეს. თუმცა პანტანიც უკან მოექცა, რადგან მანამდე სწორ გზაზე ჩამორჩენილიყო.

მწვერვალისკენ შუაგზაზე მანუელ ბელტრანი, დანილო დი ლუკა, ლეონარდო პიეპოლი, ალექს ცულე და მიკაელ ბოგერდი დაწინაურდნენ. ფინიშამდე 2 კილომეტრით ადრე წამოწყებული და წარმატებული იერიში დი ლუკას მაინც არ ეყო საერთო ჩათვლაში პირველობისთვის. მან ბოგერდს 11 წამი მოუგო, ანუ ზუსტად იმდენი, რამდენსაც ეტაპის წინ აგებდა. ხოლო რადგან ჰოლანდიელს საერთოდ უკეთესი ადგილები ჰქონდა დაკავებული, მეტი ქულის გამო სწორედ მას დარჩა ყვითელი მაისურა.

ბოლო ეტაპი პარასკევს გაიმართა და ჯგუფური სპრინტით დასრულდა, რომელშიც ყველას იტალიელმა მარკო ძანოტიმ აჯობა. მეორე ადგილზე ანხელ ედო გავიდა, მესამე კი გერმანელი ერიკ ზაბელი იყო. საერთო ჩათვლაში კი პირველობა ბოგერდს დარჩა, ჰოლანდიელებს ხომ უყვართ კატალონია.

გაგი გურული

საბოლოო ჩათვლა
1. მიკაელ ბოგერდი (ჰოლანდია, რაბობანკი) 19სთ 55წთ 29წმ
2. დანილო დი ლუკა (იტალია, კანტინა ტოლო) იგივე დრო
3. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, მაპეი) +7წმ
4. ალექს ცულე (შვეიცარია, კოასტი)+30
5. მარსელინო გარსია (ესპანეთი, GSW) +1წთ 06

ხელბურთი

ლიგა წლეულსაც ესპანელებისაა

უმთავრესი, რაც გაირკვა, ისაა, რომ ვაჟ ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის ფინალის ორივე მონაწილე ესპანეთიდან იქნება. 22 და 29 აპრილს ორ გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს „ბარსელონა" და „პორტლენდ სან ანტონიო" დაუპირისპირდება.

განმეორებითი ნახევარფინალური შეხვედრების წინ ორივე კლუბს განსხვავებული პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი. ჯერ „ბარსაზე" ვთქვათ. კატალონიელებმა სუპერვარსკვლავებით სავსე „კილთან" პირველი თამაში ერთი შეხედვით კატასტროფული, ოთხბურთიანი სხვაობით დათმეს და ფინალში გასვლის შანსიც მინიმუმამდე შეუმცირდათ, მაგრამ შინ, ბარსელონაში, პატარა სასწაული მოახდინეს. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა აგრესიულად დაიწყეს და გაესპანელებული რუსის ანდრეი შჩეპკინისა და მთავარი მეგოლის დემეტრიო ლოზანოს ზუსტი ტყორცნებით თავიდანვე დაწინაურდნენ და ტაიმი სამი ბურთით (14:11) მოიგეს. ლიგის შარშანდელ ჩემპიონს არც შესვენების შემდეგ დაუთმია ინიციატივა და ბოლოსწინა წუთზე ანგარიშში სხვაობა სასურველ ხუთ ბურთამდე გაზარდა. გერმანიის ჩემპიონებს მატჩის მიწურულს თავის გადარჩენის ჩინებული საშუალება მიეცათ, მაგრამ მათ 29-ე გოლს მსაჯის საფინალო სასტვენმა დაასწრო.

ლოზანომ ათი შედეგიანი ტყორცნა მიითვალა, შჩეპკინმა — ხუთი, ხოლო „კილის" იუგოსლაველმა სნაიპერმა ნენად პერუნიჩიჩმა ცხრაჯერ იყოჩაღა.

მეორე ნახევარფინალში ლიგის ყველაზე ხანდაზმული გუნდის „პორტლენდის" (საშუალო ასაკი 32,5 წელია) მეტოქე გათამაშების ამ ეტაპამდე მისული ყველაზე ახალგაზრდა, „პივოვარნა" (29) იყო. სტუმრად ორბურთიანი მარცხის შემდეგ სლოვენიელი მელუდეები შინ რევანშის იმედით გამოვიდნენ, მაგრამ ევროპის საკლუბო ჩემპიონმა დაცვაში საიმედო თამაშისა და ზუსტი შეტევების წყალობით პრაქტიკულად შესვენებამდე მოითავა საქმე, ტაიმიც (15:12) და მატჩიც სამი ბურთით მოიგო და ფინალში გავიდა.

ქალთა ნახევარფინალში ჯერ მხოლოდ პირველი შეხვედრები გაიმართა. სლოვენიის ჩემპიონმა თითქმის გაინაღდა ფინალის საგზური, დანიელებს კი ბუდაპეშტში კვირას მეტად მძიმე ბრძოლა ელით.

ვაჟთა ჩემპიონთა ლიგა
ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები
(ფრჩხილებში პირველი შეხვედრის შედეგია)
ბარსელონა (ესპანეთი) **33:28 კილი** (გერმანია) **(24:28)**
პივოვარნა (სლოვენია) **29:32 პორტლენდ სან ანტონიო** (ესპანეთი) **(28:30)**
ქალთა ჩემპიონთა ლიგა
ნახევარფინალი. პირველი მატჩები
კრიმი (სლოვენია) **28:21 ბუდუჩნოსტი** (იუგოსლავია)
ვიბორგი (დანია) **24:21 ჰერცი** (უნგრეთი)
საპასუხო მატჩები 8 აპრილს გაიმართება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16), მარნეულში (რუსთაველის ქუჩა №39) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ჩეხეთი. მე-18 ტური

5 აპრილი

19.30	025	დრნოვიცე-პლზენი	1,4	3,6	6,5
19.30	026	ჟიჟკოვი-სპარტა	4,0	3,2	1,75

უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები

5 აპრილი

23.30	505	ალავესი-კაიზერსლაუტერნი	1,9	3,0	3,8
00.15	506	ბარსელონა-ლივერპული	1,65	3,2	5,0

ლიბერტადორესის თასი

5 აპრილი

05.00	513	ვასკო და გამა-პენიაროლი	1,15	5,6	10,0
06.10	514	სტრონგესტი-რივერ პლეიტი	4,4	3,2	1,7
07.00	515	ველესი-უნივერსიტარიო	1,1	6,0	12,0

I ტაიმი/ძირითადი დრო

5 აპრილი

			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
23.30	605	ალავესი-კაიზერსლაუტერნი	3,2	10,0	20,0	4,4	4,4	5,6	18,0	10,0	5,6
00.15	606	ბარსელონა-ლივერპული	2,5	12,0	25,0	4,4	5,0	9,0	15,0	10,0	8,0

შემდეგ ეტაპზე გასვლა

5 აპრილი

23.30	705	ალავესი	-1,75	კაიზერსლაუტერნი	-1,65
00.15	706	ბარსელონა	-1,5	ლივერპული	-2,0

უეფას თასი

5 აპრილი

23.30	759	ბარსელონა	-2,0
23.30	760	ლივერპული	-2,4
23.30	761	კაიზერსლაუტერნი	-4,0
23.30	762	ალავესი	-4,7

კალათბურთი

5 აპრილი

04.30	820	ნიუ იორკი-ვაშინგტონი	1,1	12,0	5,0
05.00	821	იუტა-საკრამენტო	1,4	12,0	2,3
05.30	822	დალასი-ატლანტა	1,05	12,0	7,5
05.30	823	ჩიკაგო-ლეიკერსი	3,5	12,0	1,15
05.30	824	ჰიუსტონი-სიეტლი	1,45	12,0	2,1
06.00	825	დენვერი-სან ანტონიო	2,3	12,0	1,35

კალათბურთი. სუპროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩები

5 აპრილი

21.00	826	ირაკლისი-ალბა	1,15	12,0	4,0
21.00	827	ეფესი-ლიეტუვოს რიტასი	1,05	12,0	7,5
21.00	828	ულქერი-სკავოლინი	1,3	12,0	2,8
21.00	829	პარტიზანი-ვილერბანი	1,15	12,0	4,0

ჰოკეი

5 აპრილი

04.00	915	ვაშინგტონი-ფლორიდა	1,4	4,0	4,2
04.30	916	მონრეალი-ფილადელფია	2,7	4,0	1,7
04.30	917	ტამპა ბეი-რეინჯერსი	2,1	4,0	2,1
04.30	918	დეტროიტი-ატლანტა	1,35	4,0	5,0
05.00	919	სენტ ლუისი-კოლუმბუსი	1,35	4,0	5,0
05.00	920	ნეშვილი-კალგარი	1,8	4,0	2,5
07.00	921	ვანკუვერი-ლოს ანჯელესი	გაეცნობით ადგილზე		
07.30	922	სან ხოსე-ფინიქსი	გაეცნობით ადგილზე		

ხუთშაბათს, 5 აპრილს კროკო ჩვეული განრიგით იმუშავებს

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კუპიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
თბილისი	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილეობა პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

REUTERS ატლანტიდან

ატლანტა — ოტავა. ანდრე რუამ (მარცხნივ) და ატლანტელმა დენი ლამბერტმა კრივი გააჩაღეს

ასეთია ჩვენი ირბე

3 აპრილი

კოლუმბუსი 2:1 დეტროიტი (1:0 0:0 1:0)

0:1 ლიდსტრიომი 10(15), 1:1 სელივანოვი 17(8), 2:1 მანელიუკი 53(4)

ატლანტა 5:2 ოტავა (0:0 2:1 3:1)

1:0 დომენიჩელი 33(15), 2:0 კალიო 39(14), 2:1 უაიტი 40(3), 2:2 კვიატკოვსკი 57(1), 3:2 შტეფანი 58(9), 4:2 შტეფანი 60(10), 5:2 დონოვანი 60(12)

სენტ ლუისი 2:2 კაროლინა (0:1 1:0 1:1 0:0)

0:1 ტანაბე 18(6), 1:1 იანგი 33(38), 1:2 ონილი 47(38), 2:2 პრონგერი 52(8)

ვაშინგტონი 4:6 ნიუ ჯერსი (1:2 2:2 1:2)

0:1 ელიაში 5(36), 0:2 ჰოლიკი 15(15), 1:2 გონჩარი 17(19), 2:2 ლინდენი 27((15), 3:2 ნიკოლიშინი 30(13), 3:3 კორკამი 40(7), 3:4 ელიაში 40(37), 3:5 ელიაში 45(38), 3:6 მოგილნი 50(43), 4:6 კონივალჩუკი 53(22)

ფინიქსი 2:2 ლოს ანჯელესი (1:0 1:1 0:1 0:0)

1:0 ჰანდზუსი 1(13), 1:1 გ. მიურეი 30(17), 2:1 გრინი 36(13), 2:2 შნაიდერი 57(16)

ფილადელფია 1:2 ფლორიდა (0:0 1:1 0:1)

1:0 ს. სიკორა 26(4), 1:1 პ. ბურე 27(59), 1:2 ბარი 50(5)

სენტ ლუისისა და კაროლინას შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე სულ რაღაც სამი წუთი რჩებოდა, როდესაც სტუმართა კართან სიტუაცია უაღრესად გამწვავდა. კრის პრონგერის ძლიერი დარტყმის მოგერების შემდეგ კაროლინელთა ლატვიელმა მეკარე არტურს ირბეშ წამოდგომა ვერ მოასწრო და „ბლუზმენთა“ ფორვარდ პავოლ დემიტრას ცარიელ კარში გოლის გატანის საუცხოო შანსი მიეცა. მაგრამ ირბემ სასწაულებრივად, ყვანჯის წვეროთი მისწვდა შაიბას, რომელიც ცოტაც და კარის ხაზს გადაკვეთდა. ასე შეინარჩუნა კაროლინამ ფრე. ამ ქულამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ჩემპიონატის ფინიშზე, რადგან სპლეიოფი ბრძოლა ისე გამძაფრდა, რომ ნებისმიერ ქულას ახლა ორმაგი, თუ არა მეტი, მნიშვნელობა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ამ ფრის ხარჯზე კაროლინა მთავარ კონკურენტ ბოსტონს ქულებით კვლავ გაუტოლდა, ხოლო მეტი მოგების წყალობით მერვე ადგილიდანაც განდევნა.

„ასეთია ჩვენი მეკარე. როცა დაძაბულობა კულმინაციას აღწევს, სწორედ მაშინ ავლენს მაქსიმალურად თავის პოტენციალს“ — კაროლინელთა თავკაცმა პოლ მორისმა ირბე განსაკუთრებით შეაქო. არადა, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ იგი საოცრად უკმაყოფილო იყო შეგირდების უნიათო გარჯით. ორმა მარცხმა გუნდის შანსები მკვეთრად შეამცირა, მაგრამ ვაშინგტონთან 0:7 განცდილმა ფიასკომ კაროლინელებს ჭკუა ასწავლა და ერთ მუშტად შეკრა. ამის შედეგი იყო ის, რომ ორჯერ მათ უმძიმეს ბრძოლაში, ოვერტაიმში მოიპოვეს გამარჯვება. ახლაც დამატებით დრომდე მივიდა საქმე, თუმცა სტუმრებს იქ შანსი არ ჰქონდათ. პირიქით, მოგებას მოწყურებული სენტ ლუისი, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ტრავმირებული კრის პრონგერი დაუბრუნდა, უფრო ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ კაროლინელები გადარჩნენ. ისე, 52-ე წუთამდე იგებდნენ კიდეც, მაგრამ პრონგერმა თავისი სიტყვა თქვა.

ისევ და ისევ ქების ღირსია ლოს ანჯელესი. გუნდს უმძიმესი ფინიში არგუნა განრიგმა — კოლორადოსთან შეხვედრის შემდეგ ზედიზედ სამ კონკურენტთან მოუხდა პაექრობა. ორშაბათს „მეფეებმა“ ვანკუვერს მოუგეს და დღეს კანადურ კლუბს კვლავ ხვდებიან. სამშაბათს კი ლოს ანჯელესი ფინიქსს სტუმრობდა. უაღრესად დაძაბულ ორთაბრძოლაში მოგების შანსი ორივე მეტოქეს ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ მატჩი მაინც ფრედ დასრულდა, რამაც უფრო ლოს ანჯელესი გაახარა. ჯერ ერთი, მათ შეინარჩუნეს ფინიქსთან ერთქულიანი უპირატესობა, მეორეც, წაგებული მატჩი გადაარჩინეს — 57-ე წუთამდე აგებდნენ და შეინ დოუნის არცთუ აშკარა ჯარიმა „კოიოტებს“ ძვირად დაუსვეს. მცველი მეტიუ შნაიდერი პარტნიორებმა დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანეს და ვეტერანმა უზუსტესი დარტყმით დალაშქრა შონ ბურკის კარი.

სამმატჩიანი დუმილის შემდეგ კვლავ გამოირჩა პაველ ბურე და როგორც ბოლო ხანს უკვე ტრადიციად დაამკვიდრა, არა მარტო გოლით, არამედ რეკორდითაც. უმცირესობაში შეგდებული შაიბა „რუსული რაკეტისთვის“ სეზონში 59-ე გამოდგა, რაც აღემატება შარშან მისსავე დამყარებულ ფლორიდის საკლუბო რეკორდს.

ათამაშებული პატრიკ ელიაშის ჰეთ თრიქის ხარჯზე ნიუ ჯერსი აღმოსავლეთის პირველ საფეხურზე დამკვიდრდა. „ეშმაკთა“ მეკარე მარტინ ბროდო ნჰლ-ის ისტორიაში მესამე გოლკიპერი შეიქნა, ვისაც სამ სეზონში 40 მოგებაზე მეტი მიუთვლია. მართალია, ვაშინგტონთან შეხვედრაში იგი ჩვეულად საიმედო არ იყო და ერთ შაიბაშიც დიდი ბრალი, მაგრამ პარტნორებმა იხსნეს. ეს ნიუ ჯერსისთვის სტუმრად მოპოვებული ზედიზედ მეცხრე მოგებაა, რაც ლიგის რეკორდს მხოლოდ ერთით ჩამორჩება.

სამველ ლარიბიანი

თვის მოთამაშე

იარომირ იაგრი (პიტსბურგი)



ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლეულს ლიგას „არტ როს ტროფის“ ახალი მფლობელი არ ეყოლება. საუკეთესო ბომბარდირისთვის დაარსებული ამ პრიზის აწ უკვე სამგზის მფლობელს, პიტსბურგელ იარომირ იაგრს, სეზონის პირველ ნახევარში საქმე არცთუ კარგად მისდიოდა, მაგრამ მან შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ლამის მთელი სეზონის განმავლობაში პირველ ადგილზე მყოფ კოლორადელ ჯო საკიკს ჩეხმა სწორედ მარტში გაუსწრო. მან უმაღლესი შედეგიანობა აჩვენა — 15 ჩატარებულ მატჩში 15 გოლი და 16 პასი მიითვალა. აღსანიშნავია, რომ იაგრი 12 თამაშში გამოირჩა, თანაც ორჯერ 4(2 გოლი, 2 პასი) ქულას მოუყარა თავი, კალგარისთან შეხვედრაში შესრულებული ჰეთ თრიქი და 2 პასი კი მისი საუკეთესო შედეგი იყო. აღსანიშნავია, რომ იაგრისთვის ეს რიგით მეოთხე 100-ქულიანი სეზონია, ხოლო 67 პასით ის ასისტენტთა შორისაც ლიდერობს სხვა ორ ჰოკეისტთან ერთად (მარტინ სტრაკა და ადამ ოუთსი).

ცხადია, ეს ყველაფერი სენსაციურად დაბრუნებული მარიო ლემიეს დახმარებით მოხდა, რომელიც მარტში იაგრის მთავარი კონკურენტი იყო.

საუკეთესო ახალბედა კი ოტაველი მარტინ ჰავლატი გახდა. „სენატორთა“ ფორვარდმა თანდათან უმატა ტემპს. წინა ორ თვეშიც ამ ტიტულის ერთ-ერთი მაძიებელი იყო, ამჯერად კი მიზანს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ჩეხმა შეძლო გუნდის პირველ სამეულში დამკვიდრება, რაც მის მიერ მიღწეულ შედეგზე მეტს ნიშნავს. მარტინ ჰავლატმა 15 მატჩში 14(7 გოლი, 7 პასი) ქულა გააკეთა და 42 ქულით დღესდღეობით ახალბედათა შორის მეოთხეა.

საუკეთესო ექვსეული:

მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი, 1); ბრაიან რაფალსკი (ნიუ ჯერსი, 1) — სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი, 2); იარომირ იაგრი (პიტსბურგი, 2) — მარიო ლემიე (პიტსბურგი, 2) — პაველ ბურე (ფლორიდა, 2)

ტაი-ბრეიქი

მარტინა, ჩემი სიყვარული

ანუ ამერიკაში გიჟებსაც ასამართლებენ

REUTERS ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

მარტინა ჰინგისი ჩვენებას იძლევა

მაიამიში სამშაბათს 46 წლის დუბრავკო რაიჩევიჩის გახმაურებული სასამართლო პროცესი დასრულდა. 46 წლის ხორვატი მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისის დევნაში დამნაშავედ ცნეს და უახლოეს დღეებში თავისუფლების აღკვეთის ზუსტ ვადასაც განუსაზღვრავენ — მას ერთიდან ოთხ წლამდე ელის ვირის აბანოში ყოფნა.

ორშაბათს სასამართლოში ჩვენებები თავად ჰინგისმა მისცა. ჩოგბურთელმა თავის დროზე განაცხადა, რაიჩევიჩი ცოტათი აფრენსო, თუმცა ამჯერად აზრი მცირედით შეიცვალა: „ეგ ცოტათი კი არა, კარგა ბლომად აფრენს. თავს კი არ მაბეზრებდა, ხშირად მაშინებდა კიდეც. თავისუფლად ვეღარსად დავდიოდი, პირადი ცხოვრება ჩამიშხამა. ჩემდამი სიყვარული შეიძლება ერთ დღეს სიძულვილად და აგრესიად გადაიქცეს და ამას ყველაზე მეტად ვუფრთხი“.

პროფესიით საზღვაო ინჟინერი რაჟევიჩი 20 წლის შვეიცარიელს 1999 წლიდან დასდევს. 6 სასიყვარულო ბარათის გაგზავნის შემდეგ ის ციურიხში ზედიზედ ოთხი დღე მიდიოდა ჩოგბურთელის სახლთან ყვავილებით ხელში და განუწყვეტლივ რეკავდა ზარს. თავისი მენეჯერისა და მამინაცვლის, მარიო ვიდმერის რჩევით, მარტინა მაშინ პირველად და უკანასკნელად გაესაუბრა ხორვატული წარმოშობის ავსტრალიელს პირადად.

„ვუთხარი, ჩემთვის თავი დაენებებინა, რომ მასთან არც საუბარი მინდოდა და არც დროის გატარება, მაგრამ ერთი ყურიდან შეუშვა და მეორედან გამოუშვა. ის მე მიყურებდა, მიღიმოდა და ჩემს სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა — განაცხადა ჰინგისმა, რომელიც აქედან ორიოდ კვირაში უიმბლდონის პირველ წრეში დამარცხდა — ნაწილობრივ ეს მისი ბრალი იყო, დიდი სლემის ტურნირზე არც მანამდე და არც მერე ასე ადრე არ წამიგია“.

თავად რაიჩევიჩი მარტინას ხშირად აწყვეტინებდა საუბარს სულელური შენიშვნებით, სანამ მოსამართლე კევინ ემასი დარბაზიდან გაძევებით არ დაემუქრა. საერთოდ, ხორვატი ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებს და გასაოცარია, ფსიქიატრებმა ქმედუნარიანად როგორ ცნეს.

რაიჩევიჩი ამტკიცებს, რომ პირადად იცნობს აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ბილ კლინტონსა და გამოძიებათა ფედერალური ბიუროს დირექტორ ლუის ფრის, რომ ჰინგისი მას ტელევიზორიდან ესაუბრებოდა (!), რამდენიმე ადამიანს განუცხადა, მე და მარტინა დანიშნულები ვართ და ქორწილზე გეპატიჟებითო.

ხორვატი შარშან უკვე კი ბისკეინში, „ერიქსონის თასზე“ შეეცადა ჩოგბურთელთან დაკავშირებას, თუმცა ჰინგისის დედის, მელანი მოლიტორის თხოვნით, სპორტული კომპლექსის ტერიტორიიდან მიაბრძანეს. მეორე [illegible]ეს ის ისევ დაიკავეს, თუმცა როგორც კი 70ᲗᲐ დოლარი თავდებად დატოვა და ციხიდან გაუშვეს, ისევ შეეცადა სტადიონზე შეეღწია. ამჯერად რაიჩევიჩს თავდებად 2 მილიონი დოლარი დაუდგინეს და უკვე 12 თვეა, სატუსაღოში იმყოფება. პროკურორი მას გათავისუფლებას დაჰპირდა, თუ ორი წლის განმავლობაში ჰინგისთან მიახლოებაზე უარს იტყოდა, თუმცა ამას ბრალდებულმა გისოსებს მიღმა დარჩენა არჩია.

„მის გამო პირადი მცველის აყვანა დამჭირდა, რომელიც 24 საათის მანძილზე მდარაჯობდა. ციურიხში საკუთარი სახლის ნაცვლად სასტუმროში ვცხოვრობდი. როდესაც გავიგე, რომ ჩემს სანახავად აშშ-შიც კი ჩამოვიდა, თანაც ჩემი აქაური ვილის მისამართიც ჰქონდა, საშინლად გავნერვიულდი. მეშინია, ციხიდან რომ გამოვა, ისევ ყოველ ნაბიჯზე დევნას დამიწყებს“ — დაუმატა შვეიცარიელმა.

ჰინგისმა აღიარა, რომ პროფესიონალი ფსიქოლოგისთვის არ მიუმართავს, (კრიმინალურ დევნაში დამნაშავედ ცნობისთვის მნიშვნელოვანია, ბრალდებულის ქმედება დევნილში ძლიერ ემოციურ სტრესს იწვევდეს), თუმცა მისი ნათქვამი სასამართლოში ვიდმერმაც დაადასტურა: „მარტინა ძალიან შეწუხებული იყო და თვიდან თვემდე სულ უფრო ძლიერ სტრესს განიცდიდა. ყველაფერი ეს მასზე ფსიქ[illegible]ოგიურად ძალიან მოქმედებდა.“

ჰინგისის თქმით, სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემიდან თითქმის 10 თვის მანძილზე ის განზრახ იკავებდა თავს: „ვიფიქრე, რომ ის ბოლოს და ბოლოს ამით მაინც მიხვდებოდა, რომ მისით იოტისოდენადაც არ ვიყავი დაინტერესებული“.

რაიჩევიჩი ჰინგისის ნათქვამმა აღაშფოთა, რაც მან დღეს განაცხადა, მთლიანად სიცრუეა, ძალიან მწყინს, რომ კინაღამ ცოლად მოვიყვანეო, თუმცა მეორე დღეს ჟიურის წევრებს სულ სხვა რამ გაანღო: „დიაზ, მჯერა, რომ მარტინას ვუყვარდი, მაგრამ მე უკვე ერთი წელია, ციხეში ვარ. ის ახალგაზრდა, ცნობილი და ლამაზია, ამ ხნის მანძილზე, ეტყობა, სხვა ვინმე იპოვა. მე მარტინა ჰინგისი მიყვარს, როდესაც აქ დავინახე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში“.

საბოლოოდ ჟიურის წევრებმა, ეტყობა, არც რაიჩევიჩს დაუჯერეს და არც მის ადვოკატს, რომელიც ამტკიცებდა, ქალის სიყვარული დანაშაული არ არისო, და ხორვატი დამნაშავედ ცნეს. ვერდიქტის გამოცხადებას ჰინგისი არ ესწრებოდა, მოსამართლე კევინ ემასმა კი მოითხოვა რაიჩევიჩი ფსიქიურად კიდევ ერთხელ შეემოწმებინა ექსპერტს. „მე ფსიქიატრს არც კი გავესაუბრები, ფსიქოლოგიური კი არა, სამართლებრივი დახმარება მჭირდება“ — ასეთი იყო აღშფოთებული რაიჩევიჩის კომენტარი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, რამდენი ხნით ისუნთქებს ჰინგისი თავისუფლად ხორვატის ციხეში ყოფნის დროს, მოსამართლე უახლოეს დღეებში გადაწყვეტს.

სკადი სკალპელს გაუშინაურდა

მარკ ფილიპუსის სულ მალე მრავალტანჯულ მარცხენა მუხლზე კიდევ ერთ ოპერაციას გაუკეთებენ. 24 წლის ავსტრალიელმა, რომელსაც იმავე მუხლის დაზიანებული ხრტილის საწამლოდ დეკემბერში დასჭირდა ქირურგიული ჩარევა, ტრავმა კი ბისკეინში როჯერ ფედერერთან შეხვედრის დროს მიიღო.

„რა თქმა უნდა, იმედი გამიცრუვდა, შესანიშნავ ფორმაში ვიყავი. თუმცა ჯერ ახალგაზრდა ვარ და ალბათ, მალე გამოვჯანმრთელდები“ — განაცხადა ჩოგბურთელმა, რომელიც აპირებს უიმბლდონის დაწყებამდე დაუბრუნდეს ასპარეზობას. თებერვალში „სკადმა“ იძულებითი შესვენების შემდეგ პირველივე ტურნირი მოიგო მემფისში, თუმცა ტკივილები მაშინაც აწუხებდა და შიშიც გამთქვა, მგონი, ცოტათი ვიჩქარე თამაშით.

ფედერერთან მატჩის შემდეგ ფილიპუსისმა საავადმყოფოში გამოკვლევა ჩაიტარა. მისდა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ამჯერადაც ოპერაციაა საჭირო, რომელსაც ჩოგბურთელი შაბათს გაიკეთებს.

ᲐᲛᲘᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲒᲐᲜᲘᲫᲔ

თამაშს ვნახავთ, შველიძეს და ლაბაძეს — ვერა

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური. 7 აპრილი

რუმინეთი - საქართველო

გუჟარესტი. «სტიაუას» სტადიონი. 13 საათი

შაბათს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები სტუმრად რუმინეთის გუნდს ეთამაშება. მატჩი ბუქარესტის „სტიაუას“ სარაგბო მოედანზე გაიმართება და თბილისის დროით ადრე გამოცხადებული ოთხი საათის ნაცვლად სამ საათზე დაიწყება.

რაგბის ქართველ გულშემატკივარს ამ შეხვედრის ხილვა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით შეეძლება. ტელევიზიის მესვეურები ბუქარესტული მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს გეგმავენ.

რუმინელებთან მნიშვნელოვანი პაექრობისთვის საქართველოს ნაკრები უკვე შეუდგა მზადებას. „ბორჯღალოსნები“ გაფართოებული, 26-კაციანი შემადგენლობით 30 მარტს საფრანგეთში, მონპელიეს მახლობლად მდებარე გრანდ მოტეს სპორტულ ბაზაზე შეიკრიბნენ. იქ ქართველ მორაგბეებს მშვენიერი პირობები აქვთ ნორმალური ვარჯიშისთვის. მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი ჩვენს მორაგბეებს საფრანგეთში დააკვირდება და საბოლოოდ იმ ოცდაორს შეარჩევს, ვინც ბუქარესტში რუმინელებს დაუპირისპირდება.



ბაჩო სვანიძის ფოტოები

გოდერძი შველიძე (მარცხნივ) და გია ლაბაძე დაშავდნენ და რუმინელებთან ვერ ითამაშებენ

ადრე გამოცხადებულ შემადგენლობაში მცირედი ცვლილებებია. შერკინების პირველსაზელი გოდერძი შველიძე და მესამესაზელი გია ლაბაძე შაბათს ვერაფრით დეხმარებიან თავისიანებს. მათ გუშინდელ ვარჯიშზე საფრანგეთის ჩემპიონატში მიღებული ტრავმები გაურთულდათ და ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ წინასწარი შემადგენლობიდან ამოვარდნენ. გოდერძი შველიძეს შეკრებაზე მყოფი სოსო ნიკოლაენკო შეცვლის, გია ლაბაძეს კი გაქართველებული ფრანგი გრეგუარ იაშვილი. მაგრამ სორელმა სათადარიგო ვარიანტსაც მიმართა და გრანდ მოტეს ბაზაზე საფრანგეთშივე მოთამაშე მორკინალ ლევან ჯაველიძეს უხმო. სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა, დანარჩენი მორაგბეები ჯანზე არიან და შაბათის მატჩისთვის ემზადებიან.

ბაჩო სვანიძე

ამბოხეო...

გრიშჩუკი დემენტიევას ჰყვარობსო

ამგვარი, „კასპაროვის ინტერნეტ-კლუბის“ მავანი ჟურნალისტის აზრით, სენსაციური ცნობის ავტორი იმავე კლუბის ამერიკელი კორესპონდენტი მიგ გრინგარდი გახლავთ. გრინგარდი კი ბისკეინში წასულა და ჯენიფერ კაპრიატისა და ელენა დემენტიევას ნახევარფინალური თამაშისას ტრიბუნაზე გვარიანად გათეორებული, ისე კი შავტუხა ალექსანდრ გრიშჩუკი უნახავს. 17 წლის რუსი ყმაწვილი, უკვე ბარე ორ დიდ ტურნირებზე საჭადრაკო გიგანტებთან შეურცხვენელად მებრძოლი, თურმე ნერვიულობდა, ხოლო კორტზე იგივე დღეში იყო დემენტიევა და კაპრიატიმ მას გადაუარა (სულ ორი გეიმი დაუთმო). რას ნიშნავს ეს? არ ვიცით და საერთოდ, რაც ითქვა, გრინგარდის მოსაზრებებია და არა ჩვენი. თან ამაში ისეთი სენსაციურიც არაფერია, ანალოგიური ამბები ყოველდღე ხდება.

დავტოვოთ გრიშჩუკ-დემენტიევას რომანი ჭორის დონეზე, პრაქტიკულად უეჭველი ორი ამბავი კი შემდეგია: კარპოვი და ფიშერი მოსკოვის სასტუმრო „კოსმოსში“ ითამაშებენ (!) და იგივეს გააკეთებენ ერიკ კლეპტონი და პიოტრ სვიდლერი ამერიკელი მომღერლის რუსეთის დედაქალაქში მუსიკალური ვიზიტისას. პირველი წინადადების ბოლოს ძახილის ნიშანი აუცილებელია. 1975 წელს კარპოვმა პრეტენდენტთა ციკლი მოიგო და მერე ერთხანს ამაოდ ელოდა ფიშერთან შეხვედრას. ამერიკელმა მიატოვა ჭადრაკი და ოცი წლით დაიკარგა, კარპოვი კი ავტომატურად მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადეს. ფუნდამენტური კითხვა, ვინ უფრო ძლიერი იყო, სლავი თუ იანკი, უპასუხოდ დარჩა. მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა, ახლა კი კარპოვს 50 წლის იუბილეს უწყობენ და ფიშერიც მოსკოვში ამის გამო ჩადის. გენიალურმა და ჯაჯღანა ამერიკელმა ტრადიციულად თავისი პირობები წაუყენა მატჩის ორგანიზატორებს: პარტიათა შეუზღუდავი რაოდენობა, თამაში 6 მოგებამდე. უარი, ცხადია, არავის უთქვამს. მატჩი მაისში შედგება.

რაც შეეხება კლეპტონს, იგი მოსკოვში საგასტროლოდ ჩამოდის, სვიდლერი კი კლეპტონის დიდი ფანია, ამიტომ ჭადრაკის დაფასთან მათი ჯიბრი თბილ ატმოსფეროში ჩაივლის. საერთოდ, ბოლოხანს მუსიკოსებსა და მოჭადრაკეებს ეადვილებათ ურთიერთობები, ადრე, გეხსომებათ, კასპაროვმა და სტინგმაც ითამაშეს.

დავით გულუა

სირბილი სიკვდილისკენ

გუშინდელ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ ესპანელ ფაბიან რონსეროს ზედ ბერლინის ნახევარმარათონის წინ დიეგო გარსიას სიკვდილი შეატყობინეს, მაგრამ რონსერომ მაინც ირბინა და გაიმარჯვა. ამჯერად ტრაგედიის თემას ვაგრძელებთ.

დიეგო გარსია იმ დიდი ესპანური სამეულის წევრი იყო, რომელმაც 1994 წელს ჰელსინკის ევროპიმარველობაზე მარათონის პოდიუმი შეაკუნა. მაშინ პირველი მარტინ ფისი იყო, მეორე გარსია და მესამე — ალბერტო ხუსდადო. გარსიამ კარიერა 1987 წელს დაიწყო, პირველი მარათონი სამი წლის შემდეგ ირბინა, ხოლო ბარსელონის ოლიმპიადაზე 2:14,56-ით მეცხრე და ესპანელთაგან პირველი იყო. გარსიამ მე-14 ადგილი დაიკავა 1991 წელს, ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე და 4 წლის შემდეგ გიოტებორგის ანალოგიურ შეჯიბრზე მე-6 ადგილს უწია.

1 აპრილს, წლის ყველაზე მხიარულ დღეს, გარსია და მეორე მორბენალი ალეხანდრო გომესი მომდევნო დღის ასკოიტა-ასპეიტიის ნახევარმარათონისთვის ვარჯიშობდნენ, როცა გარსია შეჩერდა და მეგობარს უთხრა: „მოიცა, ცუდად ვარ!“, მერე დაეცა და სული განუტევა. ასეთი ჩქარი და უცნაური გარდაცვალების შესახებ გაკვირვებას გამოთქვამს ესპანეთის მძლეოსნობის სამეფო ფედერაციის პრეზიდენტი, პროფესორი ხოსე მარიო ოდრიოზოლა: „ის ორმოცისაც არ იყო. ზოგი ფიქრობს, როგორ შეიძლება, სპორტსმენი და მით უფრო მარათონელი გულის შეტევით დაიღუპოსო, მაგრამ ბუნების საიდუმლონი მიუწვდომელია. გარსიამ რამდენჯერმე სრული სამედიცინო შემოწმება გაიარა და ექიმებმა მას ერთხელაც ვერ უპოვეს რამე დარღვევა“.

გარსია გუშინწინ დაკრძალეს ასკოიტიაში, სადაც მუდმივად ცხოვრობდა. კუბო მიჰქონდათ ცნობილ მარათონელებს: აბელ ანტონს (2 აპრილის ნახევარმარათონი მან მოიგო), ალბერტო ხუსდადოს, ალეხანდრო გომესს, ტონი პენისა და ხუან მანუელ გარსიას. უამრავ ხალხში 900 მძლეოსანი ერია, ნახსენები ნახევარმარათონის მონაწილეები. გამოსათხოვარ სიტყვაში მეგობრებმა გარსია დაახასიათეს არა მარტო როგორც კარგი მორბენალი, არამედ კარგი პიროვნებაც. „საუკეთესო მეგობარი დავკარგე — თქვა ევროპის ჩემპიონმა ფისმა — სევდას ცოტათი ის მიმსუბუქებს, რომ დიეგო საყვარელი საქმის კეთებისას დაეცა, შეიძლება ითქვას, მას შეეწირა“. ფაბიან რონსერომ ბერლინის ნახევარმარათონის მოგება გარდაცვლილ მეგობარს მიუძღვნა.

დავით გულუა

REUTERS ფოტოგრაფიდან

დიკ პაუნდი მონრეალში გამართული პრესკონფერენციის შემდეგ

აი, კაცი-ფული

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში საარჩევნო ვნებათაღელვაა. ხუმრობა ხომ არაა, მსოფლიოს სპორტში ყველაზე გავლენიანი თანამდებობისთვის ბრძოლა. ამიტომაც ახლა სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება ლოზანისკენაა მიპყრობილი, უფრო სწორად, სოკ-ის შტაბ-ბინის საარჩევნო უბნისკენ.

მოგეხსენებათ, სოკ-ის იერარქიაში უმაღლესი ადგილისთვის ბრძოლაში თავისი მზადყოფნა ოფიციალურად უკვე სამმა პრეტენდენტმა დაადასტურა, ახლახან კი მათი რაოდენობა გაიზარდა.

როგორც იქნა, ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ოფიციალურად დაადასტურა კანადელმა რიჩარდ (დიკ) პაუნდმა. მან ამის შესახებ ორშაბათს განაცხადა პრესკონფერენციაზე მონრეალში.

რიჩარდ პაუნდი 1960 წლის XVII რომის ოლიმპიურ თამაშებზე მეექვსე იყო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა შორის და მეოთხე 4X400 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში. 1958, 1960, 1961 და 1962 წლებში იგი ხუთჯერ იყო კანადის ჩემპიონი. 1962 წელს თანამეგობრობის თამაშებზე 110 იარდზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონობა იზეიმა, ხოლო 440 და 880 იარდზე თავისუფალი სტილით ესტაფეტებში ვერცხლის მედლები დაიმსახურა, 440 იარდზე კომბინირებულ ესტაფეტაში კი ბრინჯაო.

1968-1976 წლებში იგი კანადის ოლიმპიური ასოციაციის გენერალურ მდივნად, ხოლო 1983 წლამდე პრეზიდენტად მუშაობდა. 1976 წლის მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე მან, როგორც სოკ-ის წევრმა, ოლიმპიადის ორგანიზებაში აქტიური როლი ითამაშა. სოკ-ის აღმასრულებელ საბჭოს წევრად 1983 წელს აირჩიეს, ხოლო 1991-დან 2000 წლამდე ამავე ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

პაუნდმა ერთ-ერთი უმთავრესი როლი ითამაშა სოკ-ში ახალი ფინანსური წყაროების მოძიებასა და სატელევიზიო უფლებების მოგვარებაში. სწორედ მის მრავალმილიონიან სატელევიზიო და სპონსორულ გარიგებებს უნდა უმადლოდეს სოკ-ი, რომ ეკონომიკური სტაბილურობა მოიპოვა, ამიტომაც მას დღეს „კაცი-ფულსაც“ ეძახიან.

ასეა თუ ისე, პროფესიით ადვოკატი პაუნდი სოკ-ის სამომავლო გეგმებზე საუბრისას ყურადღებას მის წევრთა სინდისსა და პატიოსნებაზე ამახვილებს. მისი მხრიდან წესიერებაზე ლაპარაკი, ალბათ, სოლტ ლეიკ სიტის მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ირგვლივ ატეხილმა სამექრთამეო სკანდალებმა განაპირობა. ეს არც იყო მოულოდნელი, რადგან მან ყველაზე კარგად უწყის აშშ-ს ამ ქალაქში ატეხილი დავიდარაბის ნიუანსები.

საქმე ისაა, რომ იმ ამბების გამოსაკვლევად სოკ-ის პაუნდს საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეობა დაავალა, შედეგად კი ამ ორგანიზაციის 10 წევრს თანამდებობის დატოვება მოუხდა.

სხვათა შორის, მაშინ პაუნდს ეს ნაბიჯი სამართებლის პირზე სიარულად შეაფასეს. ფიქრობენ, რომ მან ერთის მხრივ სიმტკიცე გამოავლინა, მაგრამ მეორეს მხრივ შესაძლოა, ეს მომავალ არჩევნებში ხმათა დაკარგვის ფასად დაუჯღესო.

საქმე ისაა, რომ სოკ-ის ზოგიერთ წევრს კოლეგის ასეთი გადაწყვეტილება სულაც არ ეპიტნავა. მიუხედავად ამისა, პაუნდი თავის საარჩევნო პროგრამაში ხაზს უსვამს სოკ-ის შელახული იმიჯის გამოკეთებას.

დოკუმენტში, „ოლიმპიური მოძრაობის ხედვა“, პაუნდი წერს: „ჩემი მიზანია, რომ საპრეზიდენტო უფლებამოსილების გასრულების შემდეგ სოკ-სა და მის წევრებს საქვეყნო აღიარება ჰქონოდეთ, იყვნენ მოწინავენი, სამართლიანნი და კეთილსინდისიერნი ოლიმპიურ სპორტში, ამასთანავე, მისაბაძი და სანიმუშონი. ჩვენი საზოგადოების ახალგაზრდა თაობისთვის.“

საინტერესოა პაუნდის განცხადება სოკ-ის წევრთა სტატუსისა და როლის თაობაზეც. მას მიაჩნია, რომ ამ უკანასკნელთ მეტი აქტიურობა მართებს, როგორც თავიანთ ქვეყნებში, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

ისე როგორ იქნებოდა, რომ კანადელს თავის საარჩევნო პროგრამაში ერთი-ორი სიტყვა დოპინგზე არ ეთქვა. იგი ხომ მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადა) ხელმძღვანელია. პაუნდი თვლის, რომ სოკ-მა მთავარი როლი უნდა შეასრულოს სპორტიდან დოპინგის ამოსაძირკვად.

აღსანიშნავია პაუნდისა და პრეზიდენტობის ერთ-ერთი ფავორიტის, ბელგიელი ჟაკ როგის ინტერესების დამთხვევაც. მასაც, ისევე როგორც როგს, მიაჩნია, რომ ოლიმპიადების პროგრამა შესაკვეცია. გარდა ამისა, ორივე მათგანს მიზნად დაუსახავს, რა თქმა უნდა, გამარჯვების შემთხვევაში, რომ ოლიმპიადებმა, როგორც უმთავრესმა სპორტულმა ღონისძიებამ, უფრო განიმტკიცოს პოზიციები.

როდესაც მის საარჩევნო პროგრამაზე ვსაუბრობთ, არანაკლებ საინტერესოა პაუნდის მოსაზრება საკუთარ შანსებზე. იგი აცხადებს, რომ მას ამაში სპორტსმენ-ოლიმპიელის წარსული და სოკ-ის ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება შეუწყობს ხელს.

„ერთი სიტყვით, მწამს, რომ ჩემი გამოცდილება განსაკუთრებულ ფონს მიქმნის დასაწინაურებლად“ — განუცხადა დიკ პაუნდმა პრესკონფერენციაზე დამსწრე კანადელ ოლიმპიელებს, რომლებიც მრავლად იყვნენ დარბაზში.

ბიბა გურასაშვილი

ავტომოყვარულთა საყურადღებოდ!

შაბათს 7 აპრილს 12 საათზე რიყის მოედანზე სტარტს აიღებს ავტომოყვარულთა რალი „გაზაფხული 2001“. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ავტომოყვარულს.

მონაწილეების რეგისტრაცია ჩატარდება რიყის მოედანზე 7 აპრილს 10-დან 11 საათამდე.

საკონტაქტო ტელეფონებია: 536 536, 305 503

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტინამ იჩივლა

REUTERS მაიამიდან

გამოჩენილ ადამიანებს გვარიანად გაამწარებენ ხოლმე თაყვანისმცემლები. ჩოგბურთის დედოფალა მარტინა ჰინგისი იმგვარ დღეში ჩაუგდია ხორვატული წარმოშობის ავსტრალიელ დუბრავკო რაიჩევიჩს, რომ გოგოს საქმე მაიამის სასამართლომდე მიუტანია. ეს რაიჩევიჩი ყოველდღე ურეკავდა ჰინგისს, სიყვარულს ეფიცებოდა და ხანდახან მუქარასაც გაურევდა ხოლმე, ჩემი უნდა გახდეო. ჰოდა, მარტინასაც უჩივლა, არ მიყვარს და შემეშვასო. მაიამელი მოსამართლე კევინ ემასი მეტად სერიოზულად კი უძღვება საქმეს, მაგრამ ჯერჯერობით მომჩივანიც და მოპასუხეც გვარიან სიცილ-ხარხარში ატარებენ დროს. ძველად კი ყარაჩოხელი იტყოდა, სიყვარულისთვის რომ იჭერდნენ, მთელი ქვეყანა ციხე იქნებოდაო.

REUTERS მაიამიდან

ეპიზოდი

თითქოს კეგლის თამაშობსო: ნიუჯერსელი ჯიმ მაკენზი ყინულზე გართხმულ ვაშინგტონელ ბრენდან უიტს გასაქანს არ აძლევს. ჰოკეია, ასე იქნება. თამაში კი „ნიუ ჯერსიმ“ მოიგო — 6:4.

REUTERS ვაშინგტონიდან

REUTERS ტორონტოდან

დე ვიტო კანადაში

კანადის ქალაქ ტორონტოში ფილმს იღებს მსოფლიოს უგანთქმულესი ცეროდენა დენი დე ვიტო, რომელიც, რაღა თქმა უნდა, კალათბურთის დიდი მოყვარულია. ჰოდა, იქაურ „ეარ კანადა სენთერში“ „ტორონტო რეპტორზისა“ და „ორლანდო მეჯიქის“ შეხვედრასაც დასწრებია ცოლ რეა პერლემთან ერთად. ფილმში კი მთავარ როლს რობინ უილიამსი ასრულებს.

მხცოვანის მოგზაურობა

ორიოდ თვეც და ხუან ანტონიო სამარანჩი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი აღარ იქნება. ამიტომ, მხცოვანი მოღვაწე გამოსათხოვარ ტურნეს შედგომია. ამ ტურნეს პირველ წერტილად ტანჯული ბოსნიის დედაქალაქი სარაევო მოინიშნა, სადაც ბატონი სამარანჩი იქაური ოლიმპიური კომიტეტის თავკაც ზდრავკო რადიენოვიჩს შეხვედრია. სარაევოს გულში აქვს 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა, სამარანჩს კი უთქვამს, დიახაც კარგი მასპინძლები იქნებით, ოღონდ ეროვნებათაშორისი პრობლემები უნდა მოაგვაროთო.

REUTERS სარაევოდან

რუსები რუსულში

ზინურ ქალაქ ოულუში დასრულებულა მსოფლიო ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში, რომელსაც მსოფლიოში ბენდის უწოდებენ, რუსეთში კი რუსულ ჰოკეის. რუსთა კაპიტანი ვალერი გრაჩოვი თავისი ქვეყნის დროშას მოაფრიალებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსულ ჰოკეიში ჩემპიონები რუსები გამხდარან.

REUTERS ოულუდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავთ გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge